საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 5 სექტემბერი. 2019 წ. №175 (8841) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუნის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გიორგი გახარიას სწორი და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების გამორჩეული უნარი აქვს! სწორედ ამიტომ ვერ იტანს მას გაკოტრებული ოპოზიცია

4

საქართველოში აშშ-ის ელჩად კელი დეგნანი წარადგინეს

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ელჩის თანამდებობაზე კელი დეგნანის წარდგენის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს. როგორც სოციალურ ქსელ ფეისბუქში საელჩოს ვებგვერდზეა აღნიშნული, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საქართველოში აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე კალიფორნიელი კელი დეგნანი წარადგინა.

კელი დეგნანი ამჟამად ევროპასა და აფრიკაში აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების სარდლის პოლიტიკური მრჩეველია. მანამდე კი, ის კოსოვოსა და იტალიაში აშშ-ის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელად მუშაობდა. 1993 წლის შემდეგ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობის დაწყებიდან კელი დეგნანი დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა ავღანეთში, თურქეთში, ბოტსვანასა და პაკისტანში. ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოში ელჩი გასული წლის გაზაფხულიდან არ ჰყავს. ამ თანამდებობას იან კელი იკავებდა, რომელმაც მუშაობა აღნიშნულ პოსტზე შარშან გაზაფხულზე დაასრულა. ამჟამად საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობას ელიზაბეთ რუდი ასრულებს.

პრემიერი გადადგა - 6 გაუმარჯოს პრემიერს!

რატომ არის ჩინეთისთვის ჰონგ კონგი 8 სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი?!

ზაზა ფირალიშვილი: მთავარ სისაძაგლეებს ოპოზიციურ 5 ფლანგზე უნდა ველოდოთ

მეცნიერებმა ადამიანის ერთ-ერთი 9 უძველესი წინაპრის სახე აღადგინეს

განათლება: სკოლებს 6 ათასი პენსიონერი პედაგოგი ჩამოშორდა!

ბოლო ერთი წლის განმავლობაში გადადგმული ნაბიჯები, რომელიც ეხება როგორც საპენსიო ასაკის მასწავლებლებს, ასევე პირობების გაუმჯობესებას, მართლაც ისტორიული მნიშვნელობის არის. ეს გვაძლევს საფუძველს, საქართველო ვიხილოთ ერთ-ერთი განვითარებული ქვეყანა განათლების კუთხით, — ამის შესახებ განათლების მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე გუშინ განაცხადა. მისი თქმით, მასწავლებლებზეა დამოკიდებული ის ცვლილებები და რეფორმები, რომლებიც მომავალში ქვეყანაში განხორციელდება.

საყოველთაო ჯანდაცვა: ტარიფები ყველა კლინიკისთვის თანაბარი გახდება

ჯანდაცვის სამინისტრო გეგმავს, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში არსებული ტარიფები ყველა კლინიკისთვის გათანაბროს, — ამის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრობის კანდიდატმა ეკატერინე ტიკარაძემ პარლამენტის სამი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების მიუხედავად, პაციენტების ჯიბიდან გადასახადის მაჩვენებელი 20-22 პროცენტს აღემატება, კერძო სექტორის მოგება კი, 35 პროცენტს აჭარბებს. მინისტრობის კანდიდატის თქმით, აღნიშნული მონაცემები ნათლად აჩვენებს სისტემური ცვლილებების საჭიროებას.

„სწორედ ამიტომ, სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, შეიცვალოს დაფინანსების მექანიზმი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელდეს შესყიდვა ტარიფიკაციის პრინციპით, რაც ითვალისწინებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში არსებული ტარიფების გათანაბრებას ყველა კლინიკისთვის“, — აღნიშნა მინისტრობის კანდიდატმა.

ერთად ვიზრუნოთ დედაქალაქის კეთილ-დღეობისთვის!!!

თბილისი მსოფლიოს ქალაქების ტურიზმის ასოციაციის წევრი გახდა!

ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, ასოციაციის წევრობა ხელს შეუწყობს თბილისის ტურისტული პოტენციალის განვითარებას და ქალაქის შესახებ ცნობადობის გაზრდას.

„ჰელსინკში გაიმართა სამიტი სახელწოდებით „გონიერი ტურიზმი – ქალაქების განვითარებისა და ინოვაციების გზა“, სადაც თბილისი უკვე ოფიციალურად წარადგინეს მსოფლიოს ქალაქების ტურიზმის ასოციაციის ახალ წევრად. ჩვენ ყველას კარგად გვესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ტურიზმის ხელშეწყობა ჩვენი ქვეყნისა და ქალაქის განვითარებისთვის. ბოლო წლების განმავლობაში თვალშისაცემია, თუ რამდენად იზრდება სასტუმროების, ჰოსტელებისა და კაფე-ბარების რაოდენობა. ასევე, იხსნება სპეციალური სააგენტოები, რომლებიც მომსახურებას უწევენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ტურისტებს, აცნობენ ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს. მიხარია, რომ ჩვენ ამ ასოციაციის წევრი გავხდით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია“...

საპატიო თბილისელის წოდების მინიჭებაზე განაცხადების მიღების ბოლო ვადა 14 სექტემბრამდეა

მერის თქმით, თბილისობაზე თბილისის მერია ტრადიციულად საპატიო თბილისელებს წარადგენს.

„თბილისობის დღესასწაული, ტრადიციულად, 6 ოქტომბერს გაიმართება. თქვენ იცით, რომ ყოველ თბილისობას თბილისის მერია წარადგენს საპატიო თბილისელებს. წლევანდელი წელიც არ არის გამონაკლისი. მინდა, შევახსენო საზოგადოებას, რომ საპატიო თბილისელის წოდების მინიჭებაზე განაცხადება 14 სექტემბრამდე წარმოადგინონ. იქამდე თქვენ შეგიძლიათ, წარმოადგინოთ ესა თუ ის დამსახურებული ადამიანი, რათა შემდეგ ჩვენ კიდევ ერთხელ, ტრადიციულად დავასახელოთ ის რჩეულნი, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თბილისის განვითარებაში. ჩვენ მზად ვართ, მივიღოთ თქვენი წინადადებები, შემდეგ კი შესაბამისი კომისია ამ განაცხადებას განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ვანდალიზმი! – ვინ დააზიანა გლდანის ახალი პარკი?

დაახლოებით ერთი თვის წინათ, გლდანის მე-6 მიკრორაიონში საზეიმოდ გახსნილი პარკი ვანდალური ქმედებების შედეგად დაზიანებულია, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე გუშინ ისაუბრა.

მისი თქმით, დედაქალაქის მერიამ 3 ჰექტარზე, სხვადასხვა ზონებად დაყოფილი პარკი მოაწყო, თუმცა ის უკვე დაზიანებულია.

„ჩვენ შევასრულეთ ჩვენი დანაპირები, რომ იქ მოეწყობოდა სივრცე ახალი ხე-მცენარეებით. სპეციალურად ბავშვებისთვის რამდენიმე ახალი სივრცეა მოწყობილი, როგორც საკალათბურთო მოედანი, ისე სკეიტბორდისთვის და ველოსიპედებისთვის, ასევე სათამაშო გასართობი ატრაქციონები პატარებისთვის, სპეციალური ზონა ცხოველებისთვის, ველობილიკები. სივრცე არის განათებული და გამწვანებული. ძალიან კარგი პროექტი გამოვიდა, თუმცა, სამწუხაროდ, გვაქვს ვანდალიზმის ფაქტები“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა აღნიშნული დაზიანებების ამსახველი ფოტომასალაც წარადგინა. კახა კალაძემ უსაფრთხოების სამსახურს და მუნიციპალურ ინსპექციას დაავალა, მაქსიმალურად გაამკაცრონ ზომები, დაამატონ კამერები და გამოყონ თანამშრომლები, რომლებიც დროებით პატრულირებას განახორციელებენ.

სამგორის რაიონის გამგებელი კახა სამხარაძე იქნება

თბილისის მერმა სამგორის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე კახა სამხარაძის კანდიდატურა წარადგინა.

„მინდა, წარმოგიდგინოთ კახა სამხარაძის კანდიდატურა. ის იყო სახელმწიფო რწმუნებული, გუბერნატორი ჯერ შიდა ქართლში, შემდეგ სამცხე-ჯავახეთში. მას აქვს ძალიან კარგი გამოცდილება ადგილობრივ თვითმმართველობაში მუშაობის. ის არის მეურნე ადამიანი და დარწმუნებული ვარ, პროექტებს, რომელიც გვაქვს დაგეგმილი სამგორის რაიონში, ჩვენთან ერთად ძალიან მაღალ დონეზე შეასრულებს და მაქსიმალურად დაიცავს სამგორელების ინტერესს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

„ვეფხი და მოყმის“ ქუჩაზე ახალი სატრანსპორტო კვანძი აშენდება

თბილისის მერია ვეფხი და მოყმის ქუჩაზე ახალი სატრანსპორტო კვანძის მშენებლობას იწყებს.

„დღეს ვაცხადებთ ტენდერს, რათა შევარჩიოთ პროექტის შემსრულებელი კომპანია. დაიწყება ვეფხი და მოყმის ქუჩაზე ახალი სატრანსპორტო კვანძის მშენებლობა, რომელიც ქალაქისთვის მნიშვნელოვანი იქნება. ეს გახლავთ ერთკილომეტრიანი კვანძი, რომელიც შედგება შვიდი სხვადასხვა სიგრძის ღერძისგან და ის დააკავშირებს მარშალ გელოვანის გამზირს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და გაგარინის ქუჩას“, – აღნიშნა კალაძემ.

მისი თქმით, აღნიშნული პროექტის მეორე ნაწილი იქნება ლისიდან ჩამოსასვლელი გზა, რომელზეც მუშაობა დაწყებულია.

„მესამე ნაწილი კი, სამომავლოდ ეს არის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ხიდით დაკავშირება. სავარაუდოდ, სამტრედიის ქუჩას დაუკავშირდება მარჯვენა-მარცხენა სანაპიროზე დამაკავშირებელი ხიდი. ამ პროექტზეც მიმდინარეობს მუშაობა.

პროექტი მომზადებულია ძალიან მაღალი სტანდარტით და პასუხობს ყველა საერთაშორისო ტექნიკურ მოთხოვნას“, – განაცხადა კახი კალაძემ.

ჩვენ ერთიანი ძალისხმევით შევძლებთ, ღირსეულად გავუმკლავდეთ პრობლემებს

თბილისის მერი კახა კალაძე ყოფილ პრემიერ-მინისტრს მამუკა ბახტაძეს მადლობას უხდის და აცხადებს, რომ ის ყოველთვის გვერდით ედგა დედაქალაქის მუნიციპალიტეტს.

საქართველოს მთავრობაში ცვლილებებს კახა კალაძე თბილისის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე გამოეხმაურა. **„მინდა, მამუკა ბახტაძეს მადლობა გადავუხადო გაწეული საქმიანობისთვის. ის ყოველთვის გვერდში ედგა დედაქალაქის მუნიციპალიტეტს და ეს აისახა საქმითაც. წლევანდელი ჩვენი ბიუჯეტი არის მართლაც განსხვავებული წინა წლებთან შედარებით და ამით ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა, განვახორციელოთ მნიშვნელოვანი პროექტები დედაქალაქის მასშტაბით“.**

„ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, პრინციპულად მნიშვნელოვანია ერთობა, მნიშვნელოვანია ერთად დგომა და ეს გუნდურობა გვაძლევს შესაძლებლობას, რომ ღირსეულად დავუდგეთ იმ გამოწვევებს, რომელიც აქტუალურია დღეს ქალაქში“, – განაცხადა თბილისის მერმა.

ამასთან, კახა კალაძე წარმატებებს უსურვებს გიორგი გახარიას, რომელიც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატია. **„მინდა, წარმატებები ვუსურვო გიორგი გახარიას, ასევე მინისტრობის კანდიდატებს და დარწმუნებული ვარ, ერთიანი ძალისხმევით, ურთიერთთანამშრომლობით მოვახერხებთ, მეტი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელოთ თბილისისთვის. ჩვენ ვიცით, რამდენი პრობლემაა დედაქალაქში, ამას სჭირდება ძლიერი ზურგი ცენტრალური ხელისუფლებიდან, რომ ბიუჯეტიდან შესაძლებელი იყოს მეტი და უფრო დიდი ტრანსფერის გაკეთება, რომ შევძლოთ მოვაგვაროთ პრობლემა, რომელიც აწუხებს თბილისის მოსახლეობას. დარწმუნებული ვარ, ერთიანი ძალისხმევით შევძლებთ, ღირსეულად გავუმკლავდეთ ქალაქში არსებულ პრობლემებს“.**

დავით ზალკალიანი: სიცრუეა განცხადებები, რომ საქართველო გამქრალია საერთაშორისო თანამეგობრობის რადარებიდან!

ჩვენ ხშირად გვსაყვედურობენ, რომ კარგია მობილიზაცია, რეზოლუციები, რომელსაც ვიღებთ, სხვადასხვა ფორმატების გამოყენება, მაგრამ საქართველო არის გამქრალი საერთაშორისო თანამეგობრობის რადარებიდან, – ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა პარლამენტში კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე გუშინ განაცხადა.

„მე კონკრეტული ფაქტებით ველაპარაკები ოპონენტებს, როდესაც მომყავს კონკრეტული ფაქტები უმაღლეს დონეზე გაკეთებული განცხადებებიდან, ეს არის სიცრუე და საზოგადოება შეჰყავთ შეცდომაში. კონკრეტული ფაქტები, რომელზეც გესაუბრებით, საწინააღმდეგოზე მეტყველებს. ამბობენ, კარგია რეზოლუცია, მაგრამ უმაღლეს დონეზე, პრეზიდენტების შეხვედრაზე არ არის საქართველოს საკითხი გამოტანილი. ამ დროს რეალობა აბსოლუტურად განსხვავებულია. სულ რამდენიმე დღის წინათ პოლონეთში, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის მაიკლ პენსისა და პოლონეთის პრეზიდენტის ანჟეი დუდას ერთობლივი პრესკონფერენციის დროს, მნიშვნელოვანი გლობალური გამოწვევების, მნიშვნელოვანი თემატიკის განხილვისას, საქართველო იყო დასახლებული როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტი და საქართველოში მიმდინარე ოკუპაციის პროცესი. ასევე, ესტონეთის პრეზიდენტმა რუსეთის პრეზიდენტთან ორმხრივი შეხვედრის დროს, ჩვენი თემატიკა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული თემატიკა, მისთვის პრიორიტეტულ საკითხთა ნუსხაში გამოიტანა“, – განაცხადა ზალკალიანმა.

ამასთან, მისი ინფორმაციით, საქართველოს თემაზე საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრების დროსაც იყო საუბარი.

„მგელი არ მოშლის მგლობასა“...

ყველაფერს აქვს დასასრული და, ბოლოს და ბოლოს, ის აქციებიც, რომლებიც აგერ უკვე თვეებია, რომ ილოღნება პარლამენტის წინ, რახანია, უნდა დამთავრებულიყო. ოღონდ ყველა ვარიანტში დარჩებოდა იმის მოგონებად, ცდად, როცა თავზეხელაღებულმა ოპოზიციამ კინაღამ დაამხო ხელისუფლება და იგი გადაარჩინა მხოლოდ იმან, რომ ეს ხელისუფლება მზად აღმოჩნდა და გაუძლო, აღმოაჩნდა საიმისო რესურსები, რომ კონსტიტუციური წყობილება შეენარჩუნებინა, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ ოპოზიციამ, რომელიც საერთოდ მარჯვედ იყენებს ყველა შესაძლებლობას ქვეყნის ასარევად, იმჯერად კინაღამ მიაღწია მიზანს.

მაგრამ ყველაფერ იმას, რომ ხელისუფლება მზად აღმოჩნდა და გაუძლო, იმას რომ ოპოზიციამ კინაღამ მიაღწია და საბოლოოდ ვერ მიაღწია მიზანს, სათავეში ედგა შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას უსაშველო ძალისხმევა. ამ კაცმა იმ საბედისწერო ღამეს ხომ ვაჟკაცურად გაუძლო, გაუძლო დღემდე 75 დღესაც, როცა ოპოზიციამ ქვეყანა აამტუტა მისი სახელის ყველა ბრუნვაში ხსენებით, მას, ოპოზიციის ჩაწოდებით, აგინებდნენ (და აგინებენ) ყველა საეჭვო შეფერილობის ოპოზიციონერები, საძოვარზე მიშვებული მოღადავე ახალგაზრდები...

ხალხი ფიქრობდა, რომ პარლამენტის წინ მესამე თვეა მცოხნავი აქცია „გახარია წადის“ ლოზუნგით, ჩვენი ფხიზელი და უკომპრომისო ჭაბუკებისა და ქალიშვილების ნების გამოხატულება იყო, მაგრამ ასე არ ყოფილა საქმე: ოპოზიციამ ეს დაუსრულებელი „საპროტესტო კვი“ შეინახა, როგორც ნაკვერჩხალი ღველფში, რათა საჭირო დროს აეხრჩოლებინა.

აი, დადგა დრო და საგულდაგულოდ შეუბერეს მინავლებულ ნაკვერჩხალს, სამშაბათ საღამოს უკვე ადინეს ბოლი, უკვე გაიღვიძეს სელაპა გრიგოლ ვაშაძემ და პუბლიცისტმა თაკო ჩარკვიანმა, აყვირდა „სირცხვილის აქცია“ ბათუმის ევროპის მოედანზე. ხალხმა იმატა თბილისში პარლამენტთან...

რა მოხდა? რამ წამოყალყა ოპოზიცია, რომ გუშინ ლოყები დაიხეთქა კოცონის სულის ბერვით?

რამ და მისთვის საძულველმა შინაგან საქმეთა შეფმა გიორგი გახარიამ, არათუ მინისტრის პორტფელი არ გაუშვა ხელიდან, პირიქით სულაც პრემიერ-მინისტრის ქურანას მოახტა და ოპოზიციას შეუმჩნეველი მათრახი უჩვენა.

ამაზე იყო ხომშტერია ხოშტარიამ რომ სასტვენი გაირჭო პირში და ჯერ პარლამენტში ვიღაც საეჭვო ხალხის შეყვანა სცადა, როცა არ გამოუვიდა, იმ დროს, როცა პარლამენტი ქვეყნის ჰიმნზე ფეხზე იდგა მკერდზე მარჯვენახელმიდებული, გიჟური სტვენით აიკლო დარბაზი. მისი სამშაბათის არაადეკვატური მოქმედებები ძალზე ჰგავდა მისსავე მოქმედებებს „გავრილოვის ღამეს“ იმავე პარლამენტში, რასაც მოჰყვა კიდეც ცნობილი მოვლენები.

მაგრამ მაშინ გაუვიდა, ხელისუფლება დაფრთხა თავს დამტყდარი ამ ახალი უბედურებით, მაგრამ ახლა აღარ გამოუვიდა, მანდატურებმა დარბაზიდან მიაბრძანეს სტვენია.

ელენე ხოშტარიას მიბაძვით სხვებმაც მოიმარჯვეს სასტვენები. ერთი სიტყვით, ოპოზიცია უსტვენს (არადა, ხალხი რომ იტყვის ეს კაცი უსტვენსოუშტვენსო, ე.ი. ალაოდ არისო).

ესტაფეტა ჟურნალისტებმა მიიღეს. ლამის ყველა არხზე დაისვა მთავარი მზაკვრული კითხვა: რატომ შეცვალა ბიძინა ივანიშვილმა უენო და აღმსრულებელი მამუკა ბახტაძე „სახელგატეხილ“, დასასჯელად გახაზირებულ შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიათი? რატომ შეიცვალნენ ძალოვანი მინისტრებიო?

ამ კითხვებში ჟურნალისტები რაღაც იდუმალ მუხტს დებენ და იმედოვნებენ, რომ მასზე პასუხების გაცემა შეუძლებელი თუ არა, ძალზე რთული მაინც არის.

ვარაუდობენ (ოპოზიციაც და ჟურნალისტთა ნაწილიც), რომ ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრად გახარიას დანიშვნით მოსკოვს კოჭი გაუგორა, რადგან გახარია არის ის კაცი, რომელმაც „გავრილოვის ღამეს“, სწორედ რუსეთის წინააღმდეგ აღმდგარი ხალხის მრისხანე ტალღა შეაჩერა(!).

არადა ამ ცვლილებაში არავითარი საიდუმლოება და მისტიკა არ არის. არჩევნებამდე ერთი წელი დარჩა. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა აღმასრულებელ ხელისუფლებას სათავეში ჩაუყენა ძლიერი პიროვნება, რომელიც ოპოზიციის ყოველ უგვან გაფხაკუნებაზე კანკალს არ დაიწყებს, მას ძალუძს კონსტიტუციის დასაცავად და კონსტიტუციის შესაბამისად, ძალისმიერ მეთოდებზეც არ დაიხიოს უკან, თავის მოქმედებაზე პასუხისმგებლობაც იკისროს და სხვასაც მოჰკითხოს იმისი წილი პასუხისმგებლობა.

ადვილი მისახვედრია: როცა ოპოზიცია ასე ეწინააღმდეგება გიორგი გახარიას პრემიერად დანიშვნას, სრულიად ნათელია, რომ იგი ღირსეული კაცია. ოპოზიცია შიშობს, რომ მასთან ვერ გაუვა ის, რაც სხვებთან გასდიოდა.

შინაგან საქმეთა მინისტრად ვახტანგ გომელაურის და თავდაცვის მინისტრად ირაკლი ღარიბაშვილის დანიშვნაც ამავე მიზანს ემსახურება.

რა არის აქ გაუგებარი და „მოსკოვიდან ჩამოწოდებული“? რა არის აქ თამარ კორძაიას გონებამიღმური განსასჯელი (სხვათა შორის, ეს ქალბატონი, მე რატომღაც უფრო დაკვირვებული, ჩაღრმავებული და სწორად განმსჯელი, ერთი სიტყვით, უფრო გონიერი მეგონა)? **რატომ ფიქრობს ოპოზიცია, რომ „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერები გულხელდაკრეფილნი სხედან და ელიან, როდის გამოჭრის მათ ყელს ოპოზიცია!**

არადა, ჩვენმა ოპოზიციამ ამ 7 წლის მანძილზე ბევრჯერ დაიწვა პირი, მაგრამ როგორც კი ყელიდან კვამლი ამობოლქვას შეწყვეტს, ყველაფერს თავიდან იწყებს. აქედან დასკვნა — მისი ნდობა არამც და არამც არ შეიძლება.

ჩვენ ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით გვერგო კომპრომეტირებული პოლიტიკური ელიტა, რამაც განაპირობა პოლიტიკური სპექტრის კომპრომეტირებულობა მოსახლეობის დიდ ნაწილს არც ერთი პარტიის არ სჯერა. ისეთ ქვეყანაში კი, სადაც არც ერთი პარტიის არ სჯერათ, პროცესების მართვა ადვილი არ არის და სამართავად ძლიერი პიროვნებაა საჭირო.

რატომ მაინცდამაინც ახლა მოხდა ცვლილებაო?! რატომაც არა? ჩვენი ხელისუფლება აქამდე ყოველთვის აგებდა იმით, რომ აგვიანებდა. რა თქმა უნდა, რაც მალე იქნება სახელმწიფოს სამართლიანი რეაგირება, მით უფრო მარტივად და სწრაფად განიმუხტა ვითარება. ეს ცნობილია და სწორია, მაგრამ ამ შეგონების უკან ადამიანები დგანან, რომლებსაც სხვადასხვაგვარად ესმით მოვლენათა არსი, და ამდენად, სხვადასხვაგვარად აფასებენ მოვლენებს.

თვალსაჩინო მაგალითი. ზოგიერთი ექსპერტი გიორგი გახარიას პოლიტიკურ კარიერას დასრულებულად თვლიდა. თვითონ გახარია კი შექმნილ ვითარებას უფრო რაციონალურად აფასებდა — ვფიქრობ, პროტესტი აღარ მიიღებს ისეთ სახეს, რომ ვინმეს კიდევ გაუჩნდეს კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი დამხობის სურვილიო. და მართალიც აღმოჩნდა.

ოღონდ მისი ეს წინასწარჭვრეტა კიდევ უფრო შეურიგებლად განაწყობს ოპოზიციას მის მიმართ. ოპოზიციამ იცის, რომ გიორგი გახარიას ძალუძს თავისი გუნდი ერთ მუშტად შეკრული მიიყვანოს 2020 წლის არჩევნებზე.

აი, ამის ეშინია ოპოზიციას. ანგარიშგასაწევი არგუმენტია!

ალეკო ასლანიშვილი

<u>გია ვოლსკი:</u> საკაშვილისა და მისი მეუღლის მხრიდან არის დაუმალავი ტერორისტული მოწოდებები!

საკაშვილის თუ მისი მეუღლის მხრიდან არის დაუმალავი ინსტრუქცია, ეს არის მაქსიმალური დესტრუქცია და ტერორი, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა გია ვოლსკიმ „ევროპული საქართველოსა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების გადაწყვეტილებაზე საუბრისას განაცხადა, რომელიც საკომიტეტო მოსმენებზე არდასწრების საკითხს შეეხო. გია ვოლსკის თქმით, რეალურად ოპოზიციის ქმედება ბოიკოტს არ ჰგავს, რადგან საპარლამენტო ოპოზიციის რამდენიმე წევრი საკომიტეტო მოსმენას ესწრება.

„ბოიკოტს არ ჰგავს, რადგან საპარლამენტო ოპოზიციის რამდენიმე წევრი შემოვიდა, ხელი მოაწერეს, აღნიშნეს, რომ მონაწილეობენ. მთლიანობაში, დამოკიდებულება საგარეო საკითხების მიმართ არის იმდენად უნიათო, რომ მე ვფიქრობ, შეკითხვაც არ დარჩათ იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდება საგარეო სფეროში. ეს არის მთავარი განმაპირობებელი მიზეზი და ამის გარდა, არის კიდევ დაუმალავი ინსტრუქცია, იქნება ეს საკაკაშვილის მხრიდან, თუ მისი მეუღლის მხრიდან გაჟღერებული, ეს არის მაქსიმალური დესტრუქცია და ტერორი, ამ საკითხებთან დაკავშირებით, რასაკვირველია, არაფერი აქვს საერთო იმ განხილვებს, რაც დღეს მიმდინარეობს...

რაც შეეხება კითხვას, თუ რატომ შეეზღუდათ პარლამენტთან მიმდინარე აქციის მონაწილეებს პარლამენტში შესვლა და საშვების აღება, გია ვოლსკი პასუხობს, რომ გადაწყვეტილება აქციის მონაწილეთა ქმედების შესაბამისია.

<u>თეა წულუკიანი:</u> შეწყალების კანდიდატები იუსტიციის სამინისტროსთან შეჯერებული არ ყოფილა

მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით შეწყალების კანდიდატები პენიტენციურ სამსახურთან და იუსტიციის სამინისტროსთან შეჯერებული არ ყოფილა, — ამის შესახებ ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განუცხადა. როგორც მან აღნიშნა, მისთვის სასურველია, რომ პოლიციელისა და ჯარისკაცის სიცოცხლის ხელყოფისთვის დაკავებულების შეწყალება არ მოხდეს.

„ვფიქრობ, რომ როდესაც სახეზეა პოლიციელის, ჯარისკაცის, ესკორტის ოფიცრის ან ისეთი ადამიანის მკვლელობა რომელიც არის სახელმწიფოს სახე, სახელმწიფოს წარმომადგენელი, მათი სიცოცხლის ხელყოფისთვის დაკავებულების შეწყალება არ მოხდეს. მე ამას ვისურვებდი“, — აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა 20-კაციანი სია შეარჩიეს

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა 20-კაციანი სიის შესარჩევად კენჭისყრის პირველი ეტაპი უკვე ჩაატარა. ცნობილია იმ კანდიდატთა ჩამონათვალი, რომლებიც კენჭისყრის მეორე ეტაპს გაივლიან.

კენჭისყრის შედეგად საბჭოს 12 წევრიდან ყველაზე დიდი მხარდაჭერა (11 ხმა) ორმა კანდიდატმა — საბჭოს მდივანმა გიორგი მიქაუტაძემ და უზენაესი სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ მაია ვაჩაძემ მიიღეს.

რაც შეეხება სხვა კანდიდატებს, 10 ხმა მიიღეს მერაბ გაბინაშვილმა, შოთა გეწაძემ, ნუგზარ სხირტლაძემ;

ცხრა ხმა — თამარ ალანიამ, თამარ ზამბახიძემ, შალვა თადუმაძემ, ქეთევან ცინცაძემ;

რვა ხმა — მირანდა ერემაძემ, მამუკა ვასაძემ, ზაზა თავაძემ, ლალი ფაფიაშვილმა, ნინო ქადაგიძემ, გოჩა ჯეირანაშვილმა;

შვიდი ხმა — ვლადიმერ კაკაბაძემ, ლევან მიქაბერიძემ, პაატა სილაგაძემ, ლაშა ქოჩიაშვილმა, ალექსანდრე წულაძემ.

აღნიშნულ სია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე აიტვირთება. ამის შემდეგ კი, მეორე კენჭისყრა ჩატარდება, რომლის მიხედვითაც სათითაოდ ეყრება კენჭი შერჩეულ 20 კანდიდატს, იმის გასარკვევად, უნდა წარედგინოს თუ არა მათი კანდიდატურა საქართველოს პარლამენტს. კანდიდატი წარდგენილად ჩაითვლება, თუ მას საბჭოს ღია სხდომაზე ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

ოპოზიციის თავის ტკივილი

გიორგი ცუცქირიძე: გახარიას სწორი და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების გამორჩეული უნარი აქვს! სწორედ ამიტომ ვერ იტანს მას გაკოტრებული ოპოზიცია

ექსპერტი საბანკო-საფინანსო საკითხებში გიორგი ცუცქირიძე პრემიერ-მინისტრად გიორგი გახარიას წარდგენას სოციალურ ქსელში ასე გამოეხმაურა.

დღევანდელი და უახლოესი პერიოდის მთავარი თემა, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მიერ პრემიერ – მინისტრად გიორგი გახარიას წარდგენა იქნება.

ამ თემას მინდა ცოტა განსხვავებული კუთხით შევხედოთ, ძირითადად, ეკონომიკის ნაწილში. ხშირად მოსახლეობისთვის გაუგებარია, რა ხდება რეალურად. რატომ იზრდება ქვეყნის სუვერენური რეიტინგი ან რატომ ფასდება პოზიტიურად ეკონომიკის ზრდის ტენდენციები. ოპოზიცია უმეტეს შემთხვევაში მოსახლეობას მცდარ და კონტექსტიდან ამოგლეჯილ ინფორმაციას აწვდის. ამ შეფასებების ობიექტური მსაჯული საერთაშორისო ორგანიზაციებია, რომლებიც ყოველთვის სწორ და მიუკერძოებელ შეფასებებს აკეთებენ. სწორედ მიმდინარე რეფორმები უზრუნველყოფს ამ დადებით შეფასებებს, რაც ადასტურებს, რომ ქვეყანა წინ მიდის და ვითარდება. ამავდროულად, ჩვენ ვდგავართ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე. რეალურად კი ბახტაძის გადადგომაც ამ კუთხით უფროა მნიშვნელოვანი. მადლობა ყოფილ პრემიერს იმ რეფორმებისთვის, რაც მიმდინარეობს ან თუნდაც ბოლო ერთ წელიწადში განხორციელდა. იქნება ეს „ჭარბვალიანობასთან“ ბრძოლის სტრატეგია თუ დღგ-ის რეფორმა და ა.შ. ფაქტია, დღევანდელი გამოწვევები არ არის მხოლოდ სიღარიბე ან ტერიტორიული პრობლემები. სიღარიბეც დროში დაძლევადია. გლობალური გამოწვევები ჩვენ გვაიძულებს, სულ სხვა განზომილებაში გადავიდეთ როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური პერსპექტივის თვალსაზრისით.

დღეს ჩვენ გვჭირდება მეტი დინამიზმი განვითარებაში. ეს მთავრობის ამ შემადგენლობიდან ყველაზე უკეთესად გახარიას შეუძლია. ფიგურალურად რომ ვთქვათ, მეტი ეკონომიკა – პოლიტიკაში და მეტი პოლიტიკა – ეკონომიკაში. ეკონომიკის უფრო მაღალი ზრდა კი სტაბილიზაციის, ახალი იდეებისა და სისტემური რეფორმების გაძლიერების გარეშე შეუძლებელია. მათ შორის, ადგილობრივი წარმოების სტიმულირების, გამჭვირვალობისა და სოციალური დაცვის თვალსაზრისით.

ივნისში ჩვენ ვნახეთ თუ რა ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს არასტაბილურობა და რევოლუციური სცენარი ეკონომიკაზე. ქვეყანას ნამდვილად სჭირდება ლიდერი, რომელიც ამ ურთულეს გეოპოლიტიკურ რყევებში ქვეყანას მინიმალური დანაკარგებით სამშვიდობოს გაიყვანს.

დღეს რეგიონში ჩენ გვაქვს რეალურად ერთ-ერთი მაღალი ეკონომიკური ზრდა, შედარებით დაბალი გადასახადები, ერთი ფანჯრის პრინციპი, ახალ სამიზნე ქვეყნებში გააქტიურებულია ტურისტული კამპანიები და ა.შ. მაგრამ, ჩვენ ვიმყოფებით განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც ქვეყანას ეკონომიკის გაცილებით მაღალი დივერსიფიკაცია, რეფორმების კიდევ უფრო გაღრმავება, ახალი საექსპორტო ბაზრები და შესაბამისად, უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა სჭირდება.

ევროკავშირის ბაზართან ერთად, უახლოეს პერსპექტივაშია აშშ-ის ბაზარი. მეგაეკონომიკები, ტრადიციულ საექსპორტო პროდუქციასთან ერთად, სწორედ მაღალტექნოლოგიური მიმართულებით არის სტრატეგიულად პრიორიტეტული. ეს საშუალებას მოგვცემს, გარდა ტრადიციული საექსპორტო სასაქონლო ჯგუფებისა, მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ექსპორტის სტრუქტურა, განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიური ინვესტიციების შემოტანით და აქ წარმოებული პროდუქციის გარე ბაზრებზე გატანით. სწორედ, ამ შემთხვევაში გვექნება კარგი შანსი გავხდეთ სატრანსპორტო და სამრეწველო პროდუქციის ჰაბი რეგიონში და რაც მთავარია, კი არ ჩავანაცლოთ, არამედ გავზარდოთ დივერსიფიკაცია და შევინარჩუნოთ ტრადიციული ბაზრები, ექსპორტ-იმპორტის მეტი დივერსიფიკაციით და ეკონომიკის ინკლუზიური ზრდით.

ამ ყველაფერს კი სჭირდება ძლიერი ლიდერი, რომელიც გამოცდილებასთან ერთად, მაღალი პასუხისმგებლობის მატარებელიც იქნება. დარწმუნებული ვარ, გიორგი გახარია ამ მისიასაც წარმატებით გაართმევს თავს. როდესაც გიორგი გახარიაზე საუბრობენ, რატომღაც ავიწყდებათ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრობამდე, ის იყო ძალიან კარგი ბიზნესმაგუდსმენი, ეკონომიკური საბჭოს მდივანი და ეკონომიკის მინისტრი. გიორგი გახარიამ საკუთარი საქმიანობით დაადასტურა, რომ ის სახელმწიფოებრივი მიდგომების მქონე, გამგედავი და თვალსაჩინო პოლიტიკოსია.

გახარია არის მკაფიო ხედვების მქონე პროფესიონალი, რომელსაც აქვს რეფორმების განხორციელების, სწორი და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების და მართვის გამორჩეული უნარი. ეს კარგად იციან ოპოზიციაში და სწორედ ესაა მათი „თავის ტკივილი“.

ახალი გამოწვევების საპასუხოდ, პრემიერ-მინისტრად გიორგი გახარიას პრემიერობა სწორედ ამ კუთხითაა მნიშვნელოვანი და არა მხოლოდ წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნების“ გასაძლიერებლად. ოპოზიციური სპექტრის ყვირილი ვითომ ავტორიტარული მმართველობის დადგომაზე, გიორგი გახარიას პრორუსულობაზე თუ 20-21 ივნისის მოვლენებთან მის კავშირზე, სხვა არაფერია თუ არა არშემდგარი რევოლუციის გამო, მორიგი დესტრუქცია და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა.

FORGE

ყოფილი მინისტრი და თსუ-ს რექტორიც აღშფოთებულია!

ლადო პაპავა: ეროვნულ ბანკს უპასუხისმგებლო ხელმძღვანელობა ჰყავს, რომელიც თავისი შეცდომებით ანგრევს სისტემას

„რადგანაც ლარის მშობელი არის ეროვნული ბანკი, სწორედ ამიტომ, ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობაა, რაც ხდება ლართან მიმართებაში“, – ასე აფასებს ბოლო დღეების განმავლობაში ლარის კურსის გაუფასურებას, და ზოგადად ეროვნული ვალუტის სისტემატიურ მერყეობას პროფესორი ლადო პაპავა.

Bloomberg-ის სავაჭრო სისტემაში ლარმა კვირა კვლავ გაუფასურებით დაიწყო. გუშინ საერთაშორისო სავაჭრო ბირჟაზე 1 დოლარი 2.9613 ლარად ივაჭრებოდა.

გუშინვე TBC ბანკის ვალუტის გაცვლით სისტემაში ერთი აშშ დოლარის ღირებულება, პირველად 3 ლარს გაუტოლდა. საქართველოს ბანკში კი ერთი აშშ დოლარი 2.99 ლარი ღირდა.

პროფესორი ლადო პაპავა ლარის მერყევ პოლიტიკას უკავშირებს ეროვნული ბანკის არასწორ ქმედებებს და მიიჩნევს, რომ ეს სისტემის ხელმძღვანელების არაკომპეტენტურობის შედეგია.

„ლარის გაუფასურება არის იმ მცდარი პოლიტიკის შედეგი, რომელსაც ახორციელებს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა ბოლო წლების განმავლობაში, რომელიც რეფინანსირების სესხებს ზრდის და ამით ზრდის ფულის მასის მიწოდებას. იმავდროულად ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა, თავისი ჭკუით, ცდილობს, საზოგადოებას წაუკითხოს „ლექციები“, თითქოსდა ფულის მასის ზრდას არა აქვს არანაირი ზეგავლენა არც ინფლაციაზე და არც გაცვლით კურსზე, რაც არის აბსოლუტური უცოდინარობა. სამწუხაროდ, დღეს ასეთი უპასუხისმგებლო ხელმძღვანელობა ჰყავს საქართველოს ეროვნულ ბანკს, რომელიც თავისი შეცდომებით ანგრევს სისტემას, რომელიც წლების განმავლობაში წარმატებით იქმნებოდა“, – აცხადებს პროფესორი.

ბ-ნმა ლადომ „კომერსანტთან“ ქვეყანაში მიმდინარე სამთავრობო ცვლილებებიც შეაფასა და აღნიშნა, რომ პოლიტიკური არასტაბილურობა ლარისა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე ზეგავლენის მქონე ფაქტორებია.

„როცა ქვეყანაში არ არის პოლიტიკური სტაბილურობა, რა თქმა უნდა, ეს აისახება ამ ქვეყნის ვალუტაზე. ჩვენ ვიცოდით, რომ სექტემბერში მოსალოდნელი იყო მთავრობის ცვლილება და, სავარაუდოდ, არის გარკვეული პრობლემები ამ ცვლილებასთან დაკაშირებით. თუმცა მე პირადად, ამ ცვლილებას მივესალმები, რადგან უკვე დიდი ხანია, საზოგადოება ელის უფრო აქტიურ და უფრო საქმიან პრემიერ-მინისტრს, ვიდრე ეს გახლდათ ბატონი მამუკა ბახტაძე. პრემიერ-მინისტრი დიდი ხანია, შესაცვლელია, სულ ცოტა გაზაფხულის დასაწყისში მაინც, იმიტომ, რომ არჩევნები მოდის და ქვეყანას სჭირდება მართვა. როგორ შეიძლება ქვეყანას ჰყავდეს პრემიერად ადამიანი, რომლის სიტყვას პრაქტიკულად ფასი აქვს ნული. მაგალითად, შარშან სექტემბერში მან გააკეთა პრეზენტაცია იმაზე, რომ თურმე განათლება და მეცნიერება უნდა იყოს პრიორიტეტული და დიდი ზარ-ზეიმით იყალთოს აკადემიაში ჩაატარეს ეს პრეზენტაცია, რასაც, სამწუხაროდ, არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. შემდეგი პრეზენტაცია უკვე გააკეთა წელს თებერვალში, სადაც განგვიცხადა, რომ ბიუჯეტის მეოთხედი უნდა წავიდეს განათლებასა და მეცნიერებაზე, რასთან დაკავშირებითაც შესაბამისი დოკუმენტი დღემდე მომზადებული არ არის. ასეთი იყო ყოფილი პრემიერი – განცხადებები და ნაკლები მოქმედება. ასეთი პრემიერ-მინისტრი, რა თქმა უნდა, ქვეყანას არ სჭრდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქვეყანა შედის ტურბულენტურ მდგომარეობაში და არჩევნები, როგორც წესი, ქვეყნისთვის ტურბულენტური მდგომარეობაა,“ – აღნიშნა ლადო პაპავამ.

„ასევე გასათვალისწინებელია, რომ ოპოზიციას არანაირი კონფლიქტი არ ჰქონია ბ-ნ მამუკა ბახტაძესთან, არასდროს მოუთხოვია მისი გადადგომა, რადგანაც სუსტი პრემიერ-მინისტრი მისწრებაა დესტრუქციული ოპოზიციისათვის,“ – თვლის პროფესორი პაპავა.

ლადო პაპავამ პრემიერის მიერ ფეისბუქ-სტატუსით თანამდებობის დატოვების ფაქტიც შეაფასა და აღნიშნა, რომ თანამედროვეობის პირობებში მსგავსი ფორმით სერიოზული განცხადებების გაკეთება ნორმალურია.

„ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ Twitter-ით ამცნობს აშშ-ის პრეზიდენტი მთელ მსოფლიოს საკუთარ გადაწყვეტილებებს. ეს მოდერნიზებული პოლიტიკოსების მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმაა. პრემიერი ჟურნალისტებთან შეხვედრასაც არ გაურბის, უბრალოდ, მან თავისი ვრცელი განმარტება გააკეთა. მას ამის უფლება ჰქონდა, ასე რომ, ესეც რაღაც სიახლეა ჩვენს ქართულ პოლიტიკაში, რომელიც სულაც არ არის გამაღიზიანებელი. ვფიქრობ, რომ კაცს, რომელიც ამ მაღალ თანამდებობაზე იყო, აქვს უფლება, საზოგადოებას მიმართოს და დეტალურად დაწეროს რასაც ფიქრობს,“ – განაცხადა ლადო პაპავამ „კომერსანტთან“ საუბარში.

მარიამ მორგოშია



ოფიციალურად დადასტურდა ინფორმაცია, რომელზეც მედია ჯერ კიდევ ორი კვირის წინ წერდა, მმართველი გუნდი კი თითქმის უარყოფდა.

რა გზავნილია ეს საკადრო ცვლილებები საზოგადოებისთვის, რის მიღწევას ცდილობს მმართველი გუნდი და რა სიახლეს შემოიტანს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამ საკითხებზე „აქცენტი“ ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილს ესაუბრა.

მთავარ სისაძაგლეებს ოპოზიციურ ფლანგზე უნდა ველოდოთ

ზაზა ფირალიშვილი: მე მაინც მგონია, რომ ხელისუფლების უმაღლესი პირები, ბიძინა ივანიშვილი არაადეკვატურად აღიქვამს როგორც გახარიას, ისე ღარიბაშვილის და გომელაურის ავტორიტეტს საზოგადოებაში. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, უნდა გათვლილიყო, რომ 20 ივნისის ღამის შემდეგ გახარიას კანდიდატურის ასე თამამად წამოყენება პრემიერ-მინისტრის კანდიდატად ნიშნავს საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილთან, უპირველესად, ახალგაზრდებთან დაპირისპირებას. შესაძლოა, ახალგაზრდების პოზიცია გადაფაროს „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივობამ, მაგრამ ახალგაზრდების პოზიცია მათ პოზიციად დარჩება და ის მნიშვნელოვან როლს ითამაშებს 2020 წლის არჩევნებზე. ამდენად, ეს საკადრო ცვლილება, ვფიქრობ, კარგად მოფიქრებული არ იყო. რაც შეეხება ღარიბაშვილს, მასზე მუდმივად იქმნება ლეგენდები, მაგრამ ჯერჯერობით მას შესაძლებლობები, რბილად რომ ვთქვათ, არ გამოუმჟღავნებია, მისი მუშაობის განსაკუთრებული ეფექტურობა ჩვენ არ გვინახავს. გომელაურის საქმიანობას კი პირადად მე არ ვიცნობ და ვერაფერს გეტყვით.

— ბრძანეთ, გახარიას კანდიდატურის წარდგენა ახალგაზრდებთან დაპირისპირებას ნიშნავსო. ჩვენ ვხედავთ პროტესტს, რომელიც ამ დრომდე გრძელდება. ივანიშვილმა თავად წარადგინა გახარია, თქვა, გუნდსაც მე წარვუდგინეო, რითაც მხარდაჭერა დაადასტურა. ეს ხომ არ არის გზავნილი, რომ მას არც აინტერესებს ახალგაზრდების პოზიცია?

— მას რომ რეალური წარმოდგენები ჰქონდეს, თუ რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდება ამ ყველაფრის შედეგად, რა თქმა უნდა, თავს შეიკავებდა. უბედურებაც ისაა, რომ მას არა აქვს ადეკვატური წარმოდგენა, რა ხდება ქვეყანაში. როგორც ჩანს, ის არასასიამოვნო მოვლენები, რაც ქვეყანაში ვითარდება, „ნაციონალური მოძრაობის“ ხრიკების შედეგი ჰგონია და არა ის, რომ რეალურად რაღაც მართლა არ არის წესრიგში მის მმართველობაში. ეს არის მთელი უბედურება — ვერ აღიქვამს რეალურ სურათს.

— დღეს ინფორმაციის მიღების უამრავი წყარო არსებობს და რა უშლის ხელს?

როდესაც ის შემოვიდა პოლიტიკაში, თითქმის 55 წელს იყო მიღწეული, მყარად ჩამოყალიბებული საქმიანი ჩვევებით, მენეჯმენტით. როგორც ჩანს, ამ ასაკში რთულია, ცხოვრების ყაიდა შეიცვალო, ისწავლო, თავიდან დაიწყო... პოლიტიკური მენეჯმენტი რომ მკვეთრად და ძირეულად განსხვავდება ბიზნესი—მენეჯმენტისგან, ეს აშკარაა, მას კი მათ შორის ტოლობის ნიშანი ეგონა: ეგონა, ბიზნესის მართვის მეთოდებით შეიძლება პოლიტიკის მართვა. ეს ასე რომ არ არის, გამოჩნდა კიდეც.

— ისევ გახარიაზე მინდა, ვიკითხო. საწყის ეტაპზე გახარიასთან მიმართებაში იყო პოზიტიური შეფასებები, ჩანდა, როგორც ფიგურა, მაგრამ შემდეგ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა: იყო პოეტ რატიანის მძიმე „ქეისი“, რომელიც იძულებული გახდა, ქვეყნიდან წასულიყო; იყო პანკისის გაუგებარი მოვლენები და თავად გახარიამ შეაფასა ეს შეცდომად; იყო 20-21 ივნისის მოვლენები და აქ უკვე ცალკე ეპიზოდია გავრილოვის ეპიზოდი. შს მინისტრმა და უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარემ აღიარა, რომ ეს ვიზიტი უსაფრთხოების კონტექსტში არც ყოფილა შეფასებული. ამ მოვლენების შეფასება, თუნდაც თავად ივანიშვილის მხრიდან შეუძლებელი თითქოს არ უნდა ყოფილიყო...

— ეს იმ შემთხვევაში, თუ ამ მოვლენებში ბრალეულობა გახარიასია. არ გამოვრიცხავ, რომ მას (გახარიას) ფაქტის წინაშე აყენებდნენ, თუნდაც 20 ივნისის ღამეს. სავსებით არ გამოვრიცხავ, რომ ბრძანება სხვა წყაროდან მოსულიყო და ის ფაქტის წინაშე დააყენეს, მას უბრალოდ კვალი უნდა ამოესუფთავებინა. იგივე გავრილოვის ეპიზოდი, როდესაც ის პარლამენტის სპიკერის სავარძელში ჩასკუპდა. ეს ეპიზოდი უფრო პარლამენტთანაა დაკავშირებული: ქუცნაშვილთან და ა.შ. ეს კავშირი აშკარაა და მათ აღიარეს კიდეც. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პარლამენტის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წევრი, „ოცნებელი“ ამ მოვლენის შემდეგ რომ განაცხადებს, „ასეთი რა სიწმინდეა პარლამენტის თავმჯდომარის სკამი, რომ გავრილოვს შიგ ჩაჯდომა არ შეეძლოო“(ქუცნაშვილს ვგულისხმობ), როგორც ჩანს, მას არ ესმის, რას ნიშნავს სახელმწიფო, სახელმწიფოებრივი ღირსება, სახელმწიფოებრივი სიმბოლოები. აქ უკვე გახარია არაფერ შუაშია: ვხედავთ, რომ თავი მოიყარა რამდენიმე აქტიურმა კაცმა, რომლებსაც არ ესმით, სახელმწიფოებრივი ღირსება რას ნიშნავს.

— როდესაც ჩორჩანაში პოლიციის საგუშაგო დაიდგა, ამ ეპიზოდმა მიიღო მხარდაჭერა, თუმცა დაისვა კითხვები — რატომ ახლა? გაჩნდა ვერსიაც, რომ მომავალ პრემიერ-მინისტრს მთელი რიგი ნეგატივების ფონზე სჭირდებოდა პოზიტივიც, რომ საზოგადოების წინაშე წარმსდგარიყო ერთგვარი გმირის მანტიით. როგორ ფიქრობთ, ამ ვერსიას არსებობის საფუძველი აქვს?

— ბუნებრივია, არსებობის უფლება აქვს, თუმცა მის ნამდვილობაზე დაბეჯითებით ვერ ვისაუბრებთ. ამისთვის ფაქტობრივ ინფორმაციას უნდა ვფლობდეთ. თუმცა გარედან ეს ვერსია სიმართლეს ჰგავს. მით უფრო, ჩვენ გვაქვს გამოცდილება, პიარულად როგორ ამზადებს „ქართული ოცნება“ ამა თუ იმ მოვლენას. გავიხსენოთ, მთელი ორი წლის განმავლობაში როგორ ამზადებდნენ მარიხუანის ექსპერტისა და კულტივაციის თემას; როგორ მზადდებოდა „ოცნებაში“ მყოფი რამდენიმე ადამიანის მიერ გავრილოვის ჩასკუპება სავარძელში, ამას წინ უძღოდა პრაიდისტებისა და ანტიპრაიდისტების დაპირისპირების ბატალიები, თითქოს საზოგადოებრივი აზრი უნდა მომზადებულიყო იმისთვის, რომ გავრილოვის პარლამენტში გამოჩენას შვებით შეხვედროდა. მე ძალიან მაინტერესებს, ვინ და როგორ ამზადებდა გავრილოვის სავარძელში ჩასკუპებას. ეს შემთხვევით არ მომხდარა, ამას გარკვეული წინამძღვრები ჰქონდა, გნებავთ, პიარული.

— ეს ალბათ არ იქნებოდა მხოლოდ ორი დეპუტატის, მათ შორის ქუცნაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი...

— ალბათ, არა. ალბათ, იქ სხვებიც იყვნენ ჩართულები, რომლებიც არ ჩანან.

— ამ კუთხით თქვენ გახარიას პასუხისმგებლობის საკითხს ხსნით? ის იყო უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარე...

— ვერ გეტყვით. რა თქმა უნდა, უნდა გაეთვალა, მაგრამ შესაძლოა, გახარიამდე არ მისულიყო ინფორმაცია. პარლამენტი გახარიას, როგორც უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარეს არ ექვემდებარება, არც როგორც მინისტრს. პარლამენტი არც იყო ვალდებული, დღის წესრიგის შესახებ საქმის კურსში ჩაეყენებინა ის.

— მაგრამ მას ეხებოდა საზღვარი, ვინ კვეთავს მას, შეეძლო ინფორმაციის მოძიებაც და ა.შ.

— მეტი მონდომება სჭირდებოდა, მაგრამ ძალიან შორს წავედით. რამდენად შეძლებდა ის, წინ აღდგომოდა ამ პროცესს, თუ ვინმე დაინტერესებული იყო, რომ ეს მომხდარიყო? მე არ „ვათეთრებ“ ამ კაცს, შესაძლოა, უარესსაც ვამბობ — ბოროტმოქმედი კი არა, უუნაროა-მეთქი, ასეთი რაღაც გამომდის.

— და ბოლოს, თქვენ რას ელით ამ სამთავრობო ცვლილებებიდან?

— არსებითად არაფერს. როგორც ჩანს, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ვერ შეძლო, თავის საკადრო პოლიტიკაში არსებითი ცვლილებები შეეტანა: განაგრძობს იმის კეთებას, რასაც აკეთებდა და ამის შედეგები გვაქვს კიდეც. ვფიქრობ, იგივე შედეგები განმეორდება. ახალი არაფერი იქნება. მთავარი, რაც შეიძლება, ჩვენს ცხოვრებაში (ცუდიც და „კარგიც“) მოხდეს, ეს შეიძლება, მოხდეს ოპოზიციურ ფლანგზე — თუ გამოჩნდება სერიოზული ცენტრი, რომელიც შეძლებს საპროტესტო განწყობების მობილიზებას; ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ჩიხიდან გამოყვანას, რომელშიც ქვეყანა განსაკუთრებით ბოლო ორი წლის განმავლობაში შევიდა.

— და ამ ცენტრად, ყოველ შემთხვევაში, როგორც ახლა ჰორიზონტზე ჩანს, განიხილავთ ხაზარაძეს?

— სამწუხაროდ, გადაჭრით ვერავისზე ვიტყვი. ხაზარაძე ცოტა უფრო იმედისმომცემია, ვიდრე სხვები.

— როგორც ახალი კადრი?

— დიახ. ცუდი პოლიტიკური გამოცდილება მასთან ნაკლებად არის დაკავშირებული.

— და როგორ ფიქრობთ, ის ანტიპიარი, რაც მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მის წინააღმდეგ, ამ პროცესს არ დააზარალებს?

— რა თქმა უნდა, დააზარალებს. მას დიდი შრომა სჭირდება ახლა საინფორმაციო სივრცეში, რომ დამკვიდრდეს და სხვებმა კი არა, თავად შექმნას საკუთარი საინფორმაციო პორტრეტი. ამისთვის დიდი შრომა დასჭირდება.

კახეთის სამხარეო პოლიციას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო პოლიციის დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. კახეთის სამხარეო პოლიციას დღეიდან ზურაბ ბერიკაშვილი უხელმძღვანელებს, რომელმაც აღნიშნულ თანამდებობაზე შოთა ჭანუყვაძე შეცვალა. ბერიკაშვილი 2017 წლის დეკემბრიდან დღემდე, კახეთის პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იყო, ხოლო 2016 წელს კონტრტერორისტული ცენტრის პირველი მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობას იკავებდა. შს სამინისტროში აცხადებენ, რომ შოთა ჭანუყვაძე მუშაობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილის პოზიციაზე გააგრძელებს.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ – ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲡ!

„ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲫᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲢᲔᲑᲝ“, ᲐᲑᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲩᲥᲐᲠ-ᲩᲥᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲘᲗ ᲒᲐᲘᲛᲔᲝᲠᲔᲗ – ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲒᲐᲞᲐᲠᲔᲛᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚᲐ, ᲡᲐᲞᲐᲠᲔᲛᲘᲔᲠᲝᲨᲘ ᲩᲐᲞᲐᲠᲔᲛᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚᲐ.

ᲒᲐᲘᲛᲔᲝᲠᲔᲗ ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲘᲗ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲠᲝᲛ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ – ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ. ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ.

პრინციპში რაიმე ახალი და განსაკუთრებული არ მომხდარა, რადგანაც უკვე რამდენიმე თვეა, უმაღლესი სამთავრობო ცვლილებების შესახებ ყველა ლაპარაკობდა. ყველა, ვისაც არ ეზარებოდა ან სურდა თავისი ინფორმირებულობა ეჩვენებინა.

უცვლელი იყო ამ ცვლილების მიზეზი – 2020 წლის არჩევნებისთვის მზადება და ხელისუფლების იმ ხალხით დაკომპლექტება, ვინც შედეგებზე საკმაოდ დიდ გავლენას მოახდენს. მოახდენს არა რაღაც მაქინაციებით, რის შესახებაც ე.წ. ოპოზიცია ყიყინებს, არამედ საქმით და ხალხის ალალი დამოკიდებულებით როგორც გიორგი გახარიას, ასევე ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ.

ნაცებმა, ცხადია, იციან არსებული ვითარება, იციან საზოგადოების განწყობა და ისტერიკაში ჩავარდნილი მეძავი ქალებივით წივიან (ნამდვილი საზოგადოების და არა იმ ორი კინკილა უსაქმურის, „საზოგადოების“ სახელს რომ იბრალებენ).

წივიან და ისევ იმ „ჩვენებას“ აწვებიან, რომ გახარიამ კანონს რამდენჯერმე გადაამეტა, ხოლო ღარიბაშვილი მიუღებელია დასავლური ინსტიტუტებისთვის.

არადა, გახარიამ ტელეეთერების საშუალებით რამდენჯერმე გასცა ამომწურავი პასუხი ყველა შეკითხვას, ხოლო დასავლეთისთვის ღარიბაშვილის „მიუღებლობა“ ნათლად გამოჩნდა მისი, როგორც პრემიერის ვიზიტისას ამერიკის შეერთებულ შტატებში, როდესაც პრეზიდენტი ობამა ვითომდა შემთხვევით შევიდა ვიცე-პრეზიდენტის კაბინეტში, სადაც ღარიბაშვილი იმყოფებოდა და საკმაოდ ვრცელი და კონსტრუქციული საუბარი გამართა (ობამასთან შეხვედრის დაგეგმვა და მისი „გაბაზრება“ სხვა დატვირთვის მაჩვენებელია და ეს „შემთხვევითი“ შეხვედრა, სწორედაც იმ პროტოკოლური ბიუროკრატიისთვის გვერდის ასავლელად იყო გამიზნული).

არადა, სინამდვილეში ყველამ კარგად იცის, რომ გახარიაც და ღარიბაშვილიც საქართველოს სახელმწიფოსთვის, ქვეყნის ზნეობრივი განვითარებისთვის არიან მოწოდებულნი და ის ე.წ. „ლიბერალური“ პრინციპები ჩვენთვის დამანგრეველ, მათთვის სავსებით მიუღებელ რამეს წარმოადგენენ.

იმ „აჟიოტაჟს“, რომელიც ცვლილებებს წინ უძღოდა, მთავარ ხაზად გასდევდა მკითხაობა – გახარია იქნება პრემიერი თუ ღარიბაშვილი.

ამ „მკითხაობასთან“ დაკავშირებით ერთ ფეისბუქპოსტს მოგიყვანთ, რომელიც ზუსტად ალაგებდა მომავალ პერსპექტივებს: **მივმართავ ნაცებს და მათთან გათანაბრებულ არსებებს – მაგრად ვკაიფობ თქვენს „მსჯელობებზე“ – არა გახარია იქნება პრემიერი, არა ღარიბაშვილიო, რა მნიშვნელობა აქვს? ნაცებს ერთ შემთხვევაშიც „ერხევათ“ და მეორეშიც.**

ეკონომიკური განვითარების გეგმა და ხედვა ორივე შემთხვევაში ერთნაირი იქნება.

ის პრიორიტეტები, რაც არსებობს – განათლება სიღარიბესთან ბრძოლა, ანაკლიის პორტი, საგარეო ურთიერთობები, ორივესთვის უცვლელად დარჩება.

განსხვავება კი ის არის, რომ ღარიბაშვილი უფრო ხისტია (1. კახელია; 2. მეორეჯერ იქნება პრემიერი და უფრო მკვეთრად იმოქმედებს; 3. არასამთავრობოებს უფრო „გაჟიმავს“).

გახარია კი ნელ-ნელა, თვალის პაჭუნით შეასრულებს.

ასე რომ, აღარ უნდა ამას ბევრი „ბალალაიკა“, დახუჭეთ თვალები და ისიამოვნეთ.

ასე იყო თუ ისე, ბახტაძე გადადგა.

მან საკმაოდ ვრცელი ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც შეაფასა თავისი პრემიერობის დროს დაგეგმილი, გაკეთებული და გასაკეთებელი საქმეები. ჩემი აზრით, იმ პირობებში, დღეს საქართველო რომ იმყოფება, ეკონომიკის მიმართულებით მომუშავე პრემიერისთვის, საკმაოდ ბევრი რამ გააკეთა.

მაგალითად:

1. ცირკულარული შრომითი მიგრაციის (ლეგალური დასაქმება ევროპაში) შესახებ მოლაპარაკებები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და, სანამ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი, საქართველოს ევროპასთან ფაქტობრივი ინტეგრაციის საუკეთესო მექანიზმად მიმაჩნია საქართველოს ევროპის ეკონომიკურ სივრცეში გაწევრება (European Economic Area).

2. ოკუპაციის დაძლევა და არაღიარების პოლიტიკა (ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები, რომლებმაც გვაჩვენეს, რომ დღეს საქართველოს აქვს უპრეცედენტო მხარდაჭერა საერთაშორისო პოლიტიკაში).

3. ყველა მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სასამართლოში, პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროში შედგენილია საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით.

4. ჭარბვალიანობა – პროცენტის მაქსიმალური ზღვარი. ჯარიმებისა და საურავების ნებისმიერი დამატებითი ხარჯების მაქსიმალური ზღვარი. 200 000 ლარამდე სესხები მხოლოდ ლარში.

5. ახალი რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, ყველა შემდეგი მთავრობა ბიუჯეტის შედგენისას ვალდებული იქნება, ბიუჯეტის მეოთხედი მიმართოს განათლების სექტორის დაფინანსებისკენ.

1000-ზე მეტი სკოლა გახსნა და დააარსა პირველი უნივერსიტეტი.

მოკლედ რომ ვთქვა, ურიგო ნამდვილად არ იყო.

ᲣᲠᲘᲒᲝ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲑᲔᲭᲓᲣᲠ ᲛᲔᲓᲘᲐᲡᲗᲐᲜ.

ᲑᲔᲕᲠᲡ ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲘᲢᲧᲕᲘ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲓᲐᲕᲬᲔᲠ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲓᲐ „ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲛᲐ“ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲝᲜ „Ტ(Თ)ᲝᲙ-ᲨᲝᲣᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲨᲘᲪ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲓᲐᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ... ᲓᲘᲐᲮ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲜᲐ ᲜᲐᲮᲐ ᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲙᲚᲣᲪᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲞᲘᲐᲠᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲒᲐᲘᲒᲝ, ᲒᲐᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲐ?

ᲩᲕᲔᲜᲘ �გᲐᲖᲔᲗᲘ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲨᲣᲥᲔᲑᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡᲒᲐᲜ ᲑᲔᲭᲓᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲰᲐᲡᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ (ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲮᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲙᲘᲓᲔᲑᲐ Დ.Ა.Ш.) ᲕᲔᲠ ᲮᲔᲠᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲘᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲢᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ თქვენ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲘᲗ. ᲕᲔᲠ ᲮᲔᲠᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲮᲔᲠᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡ ᲛᲢᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲛᲔᲓᲘᲐᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲓᲔᲜᲔᲜ ᲢᲕᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲔᲪᲮᲕᲐᲡ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲛᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲛ ᲒᲐᲘᲒᲝ თქვენი ᲘᲛ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲗ? (�გᲗᲮᲝᲕᲗ, ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲝᲗ).

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲒᲐᲬᲧᲔᲜᲗ ᲓᲐ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲒᲔᲢᲧᲕᲘᲗ – ᲛᲘᲮᲔᲓᲔᲗ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ, ᲛᲘᲮᲔᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ �კᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲩᲐᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ „ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲐ“.

* * *

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ მოსალოდნელი იყო, მიშმადიდებლებმა ახალი პრემიერის წარდგენის პირველივე დღეს ისევ დაუსტვინეს. „დაუსტვინეს“ ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

ერთი შეხედვით თითქოსდა არაფერი, მაგრამ ამ „სტვენა-სტვენამ“ უკვე ამაზრზენი ფორმა მიიღო.

რასაც ნაცები და ძალადლიბერალები სჩადიან, უკვე გასცდა პროტესტის გამოხატვის ნებისმიერ, თუნდაც მაქსიმალურად რადიკალურ ფორმას და ფსიქიკურ პარანოიაში გადაიზარდა.

მოთხოვნისა და ამ მოთხოვნის მიღწევის გზის განსაზღვრის სრული ალოგიკურობა და დამარცხების წინასწარი ხედვა იწვევს ისტერიკას, ნორმალური, თუნდაც ძალიან გაბრაზებული ადამიანის ქმედებისთვის სრულიად შეუსაბამო რეაქციას, რაც ზღვარგადასული ფსიქიკური აშლილობის აშკარა დადასტურებაა.

ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲬᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ.

ᲫᲠᲘᲡᲢᲔ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲫᲡᲘᲛᲣᲛᲘᲐ. ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲬᲘᲠᲕᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲕᲐᲐ.

ქართველებსაც გვყავდნენ ადამიანები, ვინც წაგებულ ბრძოლაში ებმებოდა, მაგრამ მათ საბოლოო გამარჯვების სწამდათ. სწამდათ, რომ მათი საქმე ადრესატამდე, ხალხამდე მივიდოდა. ნაცებისა და ყალბი ლიბერალების ქმედების ადრესატი არც ქართველი საზოგადოება და არც ხელისუფლებაა. ყველასთვის ცხადია, რომ მათი მიზანია გარკვეულ დამფინანსებლებს აჩვენონ შეურიგებლობა, აჩვენონ მედგრად დგომა და ამაში გარკვეული თანხა აიღონ.

დღეს ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და გაასაჯაროს ინფორმაცია, თუ საიდან და რა თანხებით ფინანსდება ეს ხალხი.

ინფორმაცია აუცილებლად უნდა მიეწოდოს მოსახლეობას, რაც გამოიწვევს მათ ალაგმვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ არსებების ყოფნა უკვე საშიში ხდება ნებისმიერი მოქალაქისთვის, გამვლელისთვის, ბავშვისთვის.

ისინი ფაქტობრივად უკვე უკონტროლონი არიან.

ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲙᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲔᲘᲡᲑᲣᲥᲞᲝᲡᲢᲘᲗ ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑ: ᲐᲛᲐᲡ ᲐᲚᲐᲠ ᲛᲝᲕᲘᲗᲛᲔᲜᲗᲝ – ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲦᲠᲘᲨᲐᲛ.

„ᲪᲝᲪᲝᲠᲮᲔ“ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘ ᲑᲣᲖᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲐᲮᲐᲢᲝᲡ! ᲒᲐᲘᲡᲛᲐ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲡ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ პოლიციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა მკვლელობაში ეჭვმიტანილის, რუსეთის 49 წლის მოქალაქის ფოტო, რომელიც დაკავებულია. ამასთან, ვებგვერდზე მისი კუთვნილი ველოსიპედისა და სკუტერის ფოტოებიც გამოქვეყნდა.

გამომძიებლები მოქალაქეებს მოუწოდებენ, მიაწოდონ სამართალდამცავებს დამატებითი ინფორმაცია მამაკაცის გადაადგილების, ასევე მისი შესაძლო ახლობლების შესახებ, რაც პოლიციას საქმის გახსნაში დაეხმარება. საქართველოს მოქალაქე, 40 წლის ზელიმხან ხანგოშვილი 23 აგვისტოს ბერლინში მოკლეს. მისი სავარაუდო მკვლელი პოლიციამ დააკავა. ის 49 წლის რუსეთის მოქალაქე აღმოჩნდა. გერმანული მედია წერს, რომ გამოძიება შეკვეთილი მკვლელობის ვერსიაზე მუშაობს.

„მე ვარ პოეტი და ამით ვარ საგულისყურო“

ასე ამბობდა ვლადიმერ მაიაკოვსკი

ქართულად გადმოიტანა ვყრამ ფოფიაშვილმა

4. მაიაკოვსკი ქილიკობს

თურმე ვიოლინო ვარ,
თანაც კიდევ ღვინო ვარ,
ნეტავი თუ იცოდით?
საძახელს კი ვიძახი,
მაგრამ ვერას ვამტკიცებ!..

* * *

თუ კატლეტს გადაჰყვები,
ბლომად შეხვრეპ გულიონს,
მალე მსხვერპლი გახდები
ხათაბალა-ხათასი,
თუკი დაახვავებენ სასმელ-საჭმელ
მილიონს, –
შენ გერგება იქიდან მხოლოდ ოთხი ათასი.

* * *

ნაკითხი ვარ, გონიერი
და არ ვაცდენ არა წამს...
პუშკინიო, შჩეპკინიო, ვრუბელიო,
არც სტრიქონი, არც წიგნის ყდა
არა სწამთ.
იძახიან,
ჩამოყაჭეთ
რუბლებიო.

ეგ ამქვეყნად არც არაფრის ხამია,
არასოდეს უფულობას არ ჯავრობს,
ერთადერთი, რაც ახარებს, ქრთამია,
და საყრელად თავზე ჰქონდეს ბაჯაღლო.

* * *

რის გამო ვბუგავთ დედამიწას?
რას ვაბაგუნებთ
ამ მძიმე ჩექმას?
და სულერთია, სრა-სახლს ვანგრევთ
თუ ვანგრევთ ჩეჩმას!
თავისუფლება აღარ გვინდა,
აღარც ღმერთს ვნდომობთ,
როდის გავაწნავთ სილასავით
კითხვას იმ შეშლილთ:
რისთვისა
ვომობთ?

* * *

სულ ვერიდები აყალმაყალს,
ათასგვარ ხიფათს,
თითქოსდა ვიყო სპილოს ძვლის რაში,
გავუსწორებდი
მაგ მამაძაღლს ერთხელაც სიფათს,
რა ვქნა,
ძალიან არ მომდის თვალში.

* * *

ჰაერი ქვეყნად ბევრნაირია,
ნურსად ნუ წახვალთ,
ზოგან ცივია, ზოგან თბილია,
ამხანაგებო,
ბევრს ნუ იფიქრებთ
ან იმნაირზე ან ამნაირზე,
მე მაინც გირჩევთ,
დასვენებას
სუფთა ჰაერზე.

* * *

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №170-174

ნაზმნარ რითმებს,
სანამ დროა,
შეელიეთ,
პოეტებო.

* * *

ზამთარგამოვლილმა ქალაქმა
მწვანე ღილები
მიიკერა...
გაზაფხულმა ზამთარი ალაგმა,
გადაირია,
როგორც იუნკერი.

* * *

წადით მომშორდით,
აზრებო,
უხეშებო და ნაზებო,
ერთს ვიცნობ, ის საცოდავი
სხვის ფეხქვეშ გასაგებია,
ბევრისთვის ყელში ყიყვია,
მაგრამ ვისთვისაც მარტივად,
ადვილად გასაგებია,
ის შტერია და ბრიყვია.

* * *

უძლურნი ერთ ადგილს ტკეპნიან და ელიან, სანამ მოვლენა გაივლის, რათა მოიგერიონ. ძლიერნი წინ გარბიან, რა არი, წარიტანონ გასაგები დრო.

* * *

– **რაო?**.. აბა, ჰე, ამხანაგებო, მკვახედ შეპასუხდით, ვითომ ფორანსა შობდეთ... თქვენ კი, ვხედავ, სრულიად ვერცრა გაიგეთ. კრებამ დაადგინა თქვენი დაუსწრებლობა.

* * *

პაცი კი არა, ორფეხა უძლურებაა. სულმუდამ ავადმხმობია, სხვა რა ქნას? ავადმყოფია.

* * *

მოდაში ითვლება
უდავოდ, –
უღილოდ არ ეგების,
ეგების
უთავოდ!

* * *

ამ ცხოვრებაში სიკვდილი ძნელი არ არის,
ბევრად ძნელია თვით სიცოცხლის მოხელსაქმება.

* * *

ცაში მთვარე ისე მარტოა,
უებგურებოდ
შორს გაშვება
სახიფათოა.

* * *

ქალებს ერთიმეორეზე მეტად ვუყვარვარ, კაცები ერთიმეორეზე მეტ პატივს მცემენ, ქალი თითქოს წებოა, თანაც აბეზარი, რამდენიც კაცია, იმდენი არამზადა და პელენწუკაა.

* * *

დღეს ძალიან „კარგ“ განწყობაზე ვარ. ჯერ კიდევ გუშინწინ ვფიქრობდი, რომ უფრო საძაგელი ცხოვრება არ შეიძლება. გუშინ დავრწმუნდი, ბევრად უარესიც შეიძლება რომ იყვეს-მეთქი, მაშასადამე, გუშინწინ არც ისე ცუდი ყოფილა.

* * *

– **მაიაკოვსკი,** რა ადგილით ფიქრობთ, რომ რევოლუციის პოეტი ხართ?

– დიამეტრალურად იმის საპირისპირო ადგილით, სადაც ეგ საკითხი იშვა.

* * *

გოგონი,
ყველანი ცოტ-ცოტა ცხენები ვართ,
ყოველი ჩვენგანი თავისებური ცხენია.

* * *

– **მე** და ჩემი ძმაკაცი თქვენს ლექსებს ვკითხულობდით და ვერცარა გავიგეთ რა.

– უფრო ჭკვიანი ძმაკაცები უნდა იყოლიო.

* * *

– **უკვდავება** თქვენი ხვედრი არ არის –

– ათასი წლის შემდეგ შემოიარეთ, მერე მოვილაპარაკოთ.

* * *

– **მაიაკოვსკი,** თქვენი ლექსები არც გვათბობენ, არც გვაღელვებენ, არცრა გადადებით გამოირჩევიან.

– ჩემი ლექსები არც ღუმელია, არც ზღვა და არც კიდევ გადამდები რამ ჭირი.

* * *

– **მაიაკოვსკი,** თქვენ თავი მიგაჩნიათ პროლეტარულ პოეტად, კოლექტივისტად, არადა ყველგან წერთ: მე, მე, მე...

– თქვენ რას ფიქრობთ, ნიკოლოზ მეორე კოლექტივისტი იყო? ხომ გახსოვთ, სულ იმას წერდა: „ჩვენ, ნიკოლოზ მეორე...“ არ შეიძლება, რომ ყველგან ვამბობდეთ: „ჩვენ“. ვთქვათ, საცოლედ მოგეწონათ ვინმე, სიყვარულში რომ გამოუტყდებით, ასე მიმართავთ: „ჩვენ თქვენ გვიყვარხართ?“ ის ეგრევე შეგეკითხებათ: „მერედა, რამდენი ხართ?“

* * *

რას
ცხარობთ?
გავიყოთ თანაბრად,
ითხოვს თვით პუბლიკა,
ზოგს ბლითი ჩაუწმენდს
ყანყრატოს –
ყელში ამოუვა
ყაყაჩო,
ზოგსაც „ბუბლიკის“ ნახვრეტს
გაუსაღებენ „ბუბლიკად“,
და ეს იქნება
დემოკრატიული რესპუბლიკა.

* * *

ჯამა-სმას გადაყოლილნო,
ცხოვრება თქვენთვის ტკბილია,
თავს არ იწუხებთ არაფერზე
აგრე ინებეთ...
და ვინც ამჯერად გიორგიზე
წარდგენილია,
ფეხსალაგში გაზეთები
გატყობინებენ.

* * *

– **ერთხელ** წერდით, რომ „ქართველთა შორის მე ქართველი ვარ, რუსებს შორის კი რუსიო, რეგვენთა შორის ვიღა ბრძანდებით?

– რეგვენთა შორის პირველადა ვარ!

* * *

მთელი ღამე თეთრად გავათენე,
თვალები
ყვითელთვალება კონიაკში მეფლო.

* * *

ისე ჩამოვარდა მეთორმეტე საათი,
როგორც კუნძიდან დასჯილის თავი.

* * *

ცხენმა აქლემი
დაინახა რა,
დაიჭიხვინა:
„ეს რამხელა
ნაბიჭვარი ცხენია“.
აქლემმა კი დაიყმუყუნა:
„შენს ცხენობაზე
პასუხს ვინ აგებს,
ვინ არის მგებელი,
ცხენი კი არა,
აქლემი ხარ განუვითარებელი“.
და მხოლოდ ერთმა
იცოდა ღმერთმა
მიზეზი იმათი შიშისა,
რომ ორივენი ცხოველები
იყვნენ
სხვადასხვა ჯიშისა.

(გაგრძელება იქნება)

„ᲑᲘᲖᲜᲘᲡᲘ“ - ᲠᲐᲢᲛᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲰᲝᲜᲒ ᲙᲝᲜᲒᲘ ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ?!



ᲩᲘᲜᲔᲗᲘ — მსოფლიოში ეკონომიკის მხრივ სიდიდით მეორე სუპერ სახელმწიფოა. პეკინი პირველობაში აშშ-ს ეჯიბრება. გამომდინარე აქედან, შეიძლება დავასკვნათ, რომ კომუნისტური სისტემა დემოკრატიას არაფრით ჩამოუვარდება და ქვეყანას გამდიდრების საშუალებას აძლევს, ანუ ჩინეთს შეუძლია დაივიწყოს ადამიანის უფლებები, თავისუფალი სასამართლო და ბიზნესკლიმატი? თუმცა, ასე არ გამოდის და ეს ჰონგ კონგის დამსახურებაა, რომელიც დასავლეთის თარგზე გამოჭრილი თავისუფლების კუნძულია ჩინეთში.

ჰონგ კონგი არის ფანჯარა სამყაროში, სადაც ორივე მხარეს უბერავს „ფულის ქარი“, რომელიც ჩინეთისა და მსოფლიო ეკონომიკას თანაბრად აჯანსაღებს.

დასავლური კომპანიები ჩინეთში დიდ ინვესტიციებს აბანდებენ. ჩინეთში აწყობენ ტელეფონებს, კერავენ ტანსაცმელს. საპასუხოდ ჩინეთიც აქტიურად აბანდებს ფულს დასავლეთში: აშენებს ელექტროსადგურებს, გზები გაჰყავს და ხიდებს აგებენ, ყიდულობს კომპანიებს და ბანკებს. საუბარია ასობით მილიარდ დოლარზე წელიწადში. ამ ფულის დიდი ნაწილი სწორედ ჰონგ კონგის გავლით ხვდება დასავლეთში. ყოველწლიურად ჩინეთის მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 60% და მოზიდული კაპიტალის 70% ჰონგ კონგზე გადის.

ბრიტანეთის ყოფილ კოლონიაზე კონტროლის დაბრუნებიდან 20 წლის შემდეგ ჰონგ კონგი საფრთხეშია. ჩინეთი სულ უფრო მეტი წნეხის ქვეშ აქცევს ავტონომიას და ღიად ახდენს ძალის დემონსტრირებას. ჰონგ კონგის თავისუფლების ფანჯარა შეიძლება ერთხელაც დაიხუროს. ეს პრობლემებს შეუქმნის არა მხოლოდ ჩინეთს, არამედ მსოფლიო ეკონომიკასაც. რატომ არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ჰონგ კონგის შენარჩუნება?

„ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ — ᲝᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ“

ᲰᲝᲜᲒ ᲙᲝᲜᲒᲘᲡ დაბრუნების შემდეგ, ჩინეთს კუნძულზე ცხოვრების წესი არ შეუცვლია და კომუნისტური წყობა თავზე არ მოუხვევია. ასეთი იყო ჩინეთის ეკონომიკური სასწაულის ავტორის დენ სიაოპინის ანდერძი.

ჰონგ კონგში სხვა კანონები და პოლიტიკური სისტემაა, განსხვავებულია პასპორტები და ენაც კი. სასამართლო სისტემა დამოუკიდებელია და ინგლისურის მსგავსად მუშაობს. ჰონგ კონგის მცხოვრებლების სიტყვის, შეკრების და რწმენის თავისუფლება გარანტირებულია. ჰონგ კონგი გახლავთ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამოუკიდებელი და სრულფასოვანი წევრი. აქ მოქმედებს სხვა ვალუტა, სავაჭრო პოლიტიკა და ფინანსური რეგულაციები. ამის დამსახურებით, ჰონგ კონგი ორ რადიკალურად განსხვავებულ სისტემას აერთიანებს — კომუნისტურ ჩინურს და დასავლურ დემოკრატიულს. ჰონგ კონგი მათ აძლევს ვაჭრობისა და ურთიერთინვესტირების შესაძლებლობას, რადგან ფული დაცულია, ხოლო კონკურენცია და თვითნებობა აღკვეთილია უკეთ, ვიდრე ამას ჩინეთის პოლიტბიურო და სახალხო სასამართლო ახერხებენ.

ეს საკმარისია იმისთვის, რომ ჰონგ კონგი მსოფლიოში მესამე ფინანსურ დედაქალაქად დასახელდეს ნიუ იორკისა და ლონდონის შემდეგ. უკვე 25 წელია, კუნძული აღიარებულია ყველაზე თავისუფალ ეკონომიკად მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ ჩინეთი ამ სიაში მეასე ადგილს იკავებს. ჰონგ კონგს პირველობაში ეპაექრება სინგაპური და ბოლო წლებში მათ შორის სხვაობა მცირდება.

„ძლიერი თავისუფალი სასამართლო სისტემის გარეშე ჰონგ კონგი დაკარგავს უნიკალურ უპირატესობას, რომელმაც ის მსოფლიოს ფინანსურ დედაქალაქად გადააქცია“, — აცხადებენ ექსპერტები.

ᲐᲨᲨ-ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡᲐ და **აშშ-ის სავაჭრო ომმა ჰონგ კონგის ეკონომიკა უკვე დააზარალა. მართალია, ის ამ შერკინებაში უშუალოდ არ მონაწილეობს, რადგან აშშ ჰონგ კონგს დამოუკიდებელ ეკონომიკურ პარტნიორად განიხილავს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობის გარდა, აშშ-სთან განსაკუთრებულ ურთიერთობებს სპეციალური ამერიკული კანონი აწესრიგებს, რომელიც კონგრესმა ჯერ კიდევ 1992 წელს მიიღო. ეს ბრიტანეთის მიერ ჰონგ კონგის ჩინეთისთვის დაბრუნებამდე ხუთი წლით ადრე მოხდა.**

ამიტომ ტრამპის მიერ ჩინეთის წინააღმდეგ დაწესებული ტარიფები ჰონგ კონგზე არ ვრცელდება. და არა მხოლოდ ტარიფები, აშშ-ის მიერ კაპიტალის და ტექნოლოგიების გადაცემაზე დაწესებული შეზღუდვები ასევე არ ეხება კუნძულს, მაგრამ სავაჭრო ომი კვალს მაინც ტოვებს. ჰონგ კონგის გავლით ფულის ნაკადი მცირდება. დასავლურ კომპანიებს ბიზნესი ჩინეთიდან სხვა ქვეყნებში გადააქვთ. მცირდება ინვესტიციების მოცულობაც. თავის მხრივ, ჩინეთს თავისუფალი კაპიტალი აღარ აქვს, რადგან ეკონომიკის ზრდის ტემპი შენელდა და კრედიტების გაცემაც შეიზღუდა.

თუ საპროტესტო აქციების ფონზე ჰონგ კონგში ჩინური ტანკებიც გამოჩნდებიან, მაშინ კუნძული აშშ-ჩინეთის სავაჭრო ომის მეორე ფრონტად გადაიქცევა. აშშ-ის კონგრესში უკვე დიდი ხანია, თაროზე აქვთ შემოდებული კანონი, რომლითაც ჰონგ კონგისთვის დაწესებული და დღეს მოქმედი ყველა სავაჭრო თუ ეკონომიკური შეღავათი უქმდება. ჰონგ კონგში თავისუფლების შეზღუდვის ფონზე ამ კანონის დამტკიცების შანსები გაზრდილია. მსოფლიო ეკონომიკისთვის ესეც ცუდი ამბავია.

ᲒᲐᲫᲚᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲣᲰᲝᲜᲒᲙᲝᲜᲒᲝᲓ?!

ᲰᲝᲜᲒ ᲙᲝᲜᲒᲨᲘ, სავაჭრო ომის გარდა, სირთულეები არ აკლიათ. ერთ დროს მსოფლიოში უდიდესმა ჰონგ კონგის საკონტეინერო პორტმა თავდაპირველად პირველობა შანხაის დაუთმო, ახლა კი სულაც მეშვიდე ადგილზეა. 1990-იან წლებში ჰონგ კონგის წილი ჩინეთის ეკონომიკაში მთლიანი შიდა პროდუქტის 25 პროცენტს აღწევდა, ახლა კი ის მხოლოდ 3%-ს შეადგენს.

მოსახლეობა თავისუფლების შეზღუდვას აპროტესტებს. ეს ეკონომიკას უფრო მეტად უთხრის ძირს. აქციები აფრთხობს ტურისტებს და მომხმარებლებს. კუნძულზე მოქმედი კომპანიები, ხელისუფლების ზეწოლით, თანამშრომლების პოლიტიკური აქტიურობის შეზღუდვას ცდილობენ, რაც გაფიცვებით და კადრების შემცირებით მთავრდება.

თუ ჰონგ კონგისგან მიღებული სარეგებელი მცირდება, პრობლემები მატულობს და აშშ-სთან ურთიერთობები ისედაც გაფუჭდა, მაშინ ხომ არ გამოიყენებს ჩინეთი ამ მომენტს პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადასაჭრელად?

ამისთვის საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევაა საჭირო. ბრიტანეთის კოლონიის მიღების დროს პეკინმა პირობა დადო, რომ ავტონომიის თავისუფლებას 50 წლის განმავლობაში დაიცავდა. ჯერ მხოლოდ 20 წელი გავიდა. მეტიც, პარტიის ბოლო ყრილობაზე ჩინეთის ლიდერმა „ერთი ქვეყნისა და ორი სისტემის“ პრინციპი შეაქო კიდეც, რამაც გააჩინა ეჭვი, რომ არსებული ვითარება დიდხანს გაგრძელდება.

ბანკირები დარწმუნებული არიან, რომ ჰონგ კონგის ფინანსური ცენტრის ფუნქცია ჩინეთის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჰონგ კონგის ბირჟა მსოფლიოში მეხუთეა, მართალია, ბოლო პერიოდში ის პოზიციებს შანხაის უთმობს, თუმცა ჩინური კომპანიებისთვის უცხოური კაპიტალის მიზიდვის მთავარ ადგილად მაინც რჩება. შარშან ჰონგ კონგში ჩინურმა კომპანიებმა 35 მილიარდი დოლარის ღირებულების აქციები გაყიდეს.

დასავლურ ფინანსურ ცენტრს კომუნისტური ქვეყნისთვის დიდი სარგებელი მოაქვს. ჰონგ კონგში შეიძლება მიიზიდო მეტი და იაფი კაპიტალი, რადგან რისკები დაბალია. ეს რეგულაციების და სასამართლო სისტემის დამსახურებაა. ჰონგ კონგის ბირჟაზე აქციების განთავსება იოლია, მაშინ როდესაც კონტინენტურ ჩინეთში ამისთვის მთავრობის თანხმობაა საჭირო.

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ჰონგ კონგის გავლით ჩინურ კომპანიაში დაბანდებული ფულის დაბრუნება ყოველთვის შესაძლებელია, რადგან ჰონგ-კონგური დოლარი თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტაა და ამერიკული დოლარის კურსზეა მიბმული. ჩინური იუანის კურსს კი მთავრობა აკონტროლებს და კონტინენტური ჩინეთიდან კაპიტალის გატანა მკაცრად კონტროლდება. თავისუფლად კონვერტირებად იუანზე გადასვლა ხანგრძლივი პროცესია, ხოლო ჰონგ კონგის გარეშე ის კიდევ უფრო გაჭიანურდება, რაც ჩინეთის ოცნებას, გაუსწროს აშშ-სა და კონკურენცია გაუწიოს დოლარს, კიდევ უფრო შორეულს ხდის.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐ

ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ“ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲜᲐᲡ „ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲓ“ ᲜᲣ ᲨᲔᲠᲐᲪᲮᲐᲕᲗ!

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადებით მიმართა რუსეთის საელჩოს, სადაც ის მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, ბულგარეთში 1944 წელს „წითელი არმიის“ შესვლა „აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლებად“ არ შერაცხოს.

ბულგარეთს საგარეო უწყების შეშფოთება გამოიწვია რუსეთის კულტურული და საინფორმაციო ცენტრის მიერ სოფიაში დაგეგმილმა გამოფენამ, სახელწოდებით — „აღმოსავლეთ ევროპის ნაცისტებისგან გათავისუფლების 75 წელი“.

„ჩვენ არ ვუარყოფთ, ევროპაში ნაციზმის დამარცხებაში სსრკ-ის წვლილს, მაგრამ შეუძლებელია თვალის დახუჭვა იმ ფაქტზე, რომ საბჭოთა არმიამ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხალხების ნახევარსაუკუნოვანი რეპრესია განახორციელა, რამაც დიდი ხნით შეაფერხა ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარება და სრულ იზოლაციაში მოაქცია ისინი განვითარებულ სამყაროში მიმდინარე პროცესებისგან“, — აღნიშნულია ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ბულგარეთში რუსეთის საელჩო გამოეხმაურა საგარეო უწყების განცხადებას და თქვა, რომ „იმედგაცრუებულნი“ არიან, რადგან გამოფენა მხოლოდ საარქივო მასალების გაცნობას ისახავდა მიზნად და „მას კავშირი არა აქვს ბულგარეთის დღევანდელ პოლიტიკურ კურსთან“.

ᲛᲐᲘᲜᲪ... ᲐᲕᲐᲨᲔᲜᲔᲑᲗ!

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ თავდაცვის დეპარტამენტმა 3,6 მლრდ დოლარი გამოყო მექსიკის საზღვართან კედლის ასაშენებლად. ინფორმაციას Deutsche Welle ავრცელებს პენტაგონის სპიკერ ჯონათან ჰოფმანზე დაყრდნობით.

პენტაგონი აღნიშნული თანხის მობილიზებას 127 სხვადასხვა სამხედრო პროექტიდან მოახდენს, რაც დემოკრატების მხრიდან მკაცრი კრიტიკის საკითხია.

მანამდე, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რითაც მან შტატების პრეზიდენტს დონალდ ტრამპს ნება დართო, მექსიკის საზღვართან კედლის ასაშენებლად პენგატონის ბიუჯეტიდან თანხა გამოიყენოს.

მექსიკასა და აშშ-ს შორს გამყოფი კედლის აშენება ტრამპის მთავარი წინასაარჩევნო დაპირება იყო. ტრამპის ამ ინიციატივას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან დემოკრატები.



მეცნიერებმა ადამიანის ერთ-ერთი უძველესი წინაპრის სახე აღადგინეს

აფრიკაში, ეთიოპიაში აღმოჩენილი ჩვენი ავსტრალოპითეკი წინაპრის ნაშთებისგან მეცნიერებმა მისი სახე აღადგინეს.

ამ დრომდე ჰომინის ეს სახეობა ჩვენთვის ცნობილი იყო მხოლოდ თავის ქალის ფრაგმენტების, კბილებისა და კიდურების ძვლებიდან. ადგილობრივმა ალი ბერეინომ ამ მოუხელთებელი თავის ქალის პირველი ფრაგმენტი მაშინ აღმოაჩინა, როცა საკუთარი თხებისთვის მიწას ამუშავებდა.

თავის ქალის ნაშთები ქვიშაქვის ფენაში აღმოაჩინეს; დაფარული იყო 30 სმ სისქის თხების ექსკრემენტებით. სავარაუდოა, რომ ნამარხების გარკვეული ნაწილი ცხოველებმა ჩლიქებით გაანადგურეს.

მეცნიერებმა გულდასმით გათხარეს თითქმის 25 კვადრატული მეტრის ზონა და აღმოაჩინეს თავის ქალის კიდევ რამდენიმე ფრაგმენტი.

საერთო ჯამში, მკვლევრებმა აღმოაჩინეს სახის კომპონენტი, თავის ქალის ტვინის მიდამოს ნაწილი, მარცხენა ყვრიმალის ძვლის ორი ნაწილი და სხვა ფრაგმენტები; ყველა მათგანი ერთ თავის ქალას ეკუთვნის. ნაშთების შეერთების შემდეგ, მეცნიერებმა მიიღეს სახის ის მახასიათებლები, რომლებიც აქამდე არასოდეს ენახათ.

პალეოანთროპოლოგ იოჰანეს ჰაილე-სელასიეს განცხადებით, ეთიოპიაში, კენიაში და სამხრეთ აფრიკაში ჩატარებული კვლევების შემდეგ, მან და მისმა კოლეგებმა ჩაატარეს ვრცელი შედარებითი ანალიზები.

ეთიოპიაში აღმოჩენილი ნამარხის, ავსტრალოპითეკ ანამენისის (Australopithecus anamensis) მორფოლოგიური მახასიათებლები ჯგუფმა შეადარა ჰომინინებისა და პრიმატების სხვა სახეობებს, მათ შორის ავსტრალოპითეკ აფარენსისისას — სახეობას, რომელსაც სახელგანთქმული ნამარხი „ლუსიც“ მიეკუთვნებოდა.

პალეოანთროპოლოგ სტეფანიო მელილიო აღწერს, ამ თავის ქალის რომელი მორფოლოგიური მახასიათებლები განსხვავდება უფრო ადრეულ პრიმატთა სახეობებისგან.

მისი თქმით, ერთ-ერთი ასეთია პატარა, ძაღლის ზომის თავის ქალა, მეორე კი სახის სტრუქტურა, რომელიც უფრო ფართო და ძლიერია. სახის ძვლებს შეუძლია ძლიერი ღეჭვით გამოწვეული დაძაბულობისთვის გაძლება. ეს ყველაფერი დამახასიათებელია ავსტრალოპითეკისთვისაც.

მეცნიერთა აზრით, თავის ქალა ზრდასრულ მამრს ეკუთვნოდა.

მელილიოს განცხადებით, ამ დრომდე დიდი ნაპრალი არსებობდა ადამიანთა ჩვენთვის ცნობილ უძველეს წინაპრებს შორის, რომელთაგან უძველესი დაახლოებით 6 მილიონი წლისაა, „ლუსი“ და მისი მსგავსი სახეობები კი 2-3 მლნ წლის.

აღმოჩენის ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი ასპექტია, თუ როგორ აკავშირებს ის მორფოლოგიურ სივრცეს ამ ორ ჯგუფს შორის. ეს აღმოჩენა კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ავსტრალოპითეკ ანამენსისი ყველაზე პრიმიტიული ავსტრალოპითეკია. გარდა ამისა, მანვე შეიძლება შეცვალოს წარსულში მიღებული ევოლუციური სცენარი, რომლის თანახმადაც, ავსტრალოპითეკ აფარენსისი თანდათანობით ჩაანაცვლა ავსტრალოპითეკ ანამენსისმა.

თავის ქალის ძვლები, რომლებიც წარსულში ავსტრალოპითეკ ანამენსისს დაუკავშირეს, როგორც ჩანს, ახლა უკეთ ემთხვევა ავსტრალოპითეკ აფარენსისს, მიუხედავად იმისა, რომ 3,9 მლნ წლისაა. ეს და სხვა მახასიათებლები გვაფიქრებინებს, რომ ორი სახეობა ერთმანეთს ევოლუციურად გამოეყო, მაგრამ მაინც მრავალი საერთო ჰქონდათ სულ მცირე 100 000 წლის განმავლობაში.

თავის ქალაში აღმოჩენილ ვულკანურ ქანებზე დაყრდნობით, მკვლევართა მეორე ჯგუფმა დადგინა, რომ მისი ასაკი 3,8-3,7 მილიონი წელია. მიმდებარე გარემოში, იგივე ვულკანურ ფენაში აღმოჩენილ სხვა ბიოლოგიურ კვალზე დაყრდნობით, მკვლევრებმა დახატეს იმ გარემოს სურათი, რომელშიც ჩვენს წინაპრებს უხდებოდათ ცხოვრება.

ბოტანიკური კვალი, მაგალითად, მცენარეების მტვრისა და ფოთლების ცვილის ნაერთები მიუთითებს, რომ თავის ქალის აღმოჩენის ადგილი წარმოადგენდა ტყეებით გარშემორტყმულ მდინარის დელტას, მაგრამ მისი მიმდებარე ზონა, სადაც ჰომინინები დაეხეტებოდნენ, ძირითადად მშრალი ბუჩქნარითა და ბალახით უნდა ყოფილიყო დაფარული.

სიახლოვეში ასევე აღმოაჩინეს ამჟამად გადაშენებული რამდენიმე პრიმატის, ჟირაფის, ანტილოპას, მარტორქასა და ცხენის ნამარხები. იქვე იპოვეს ძაღლისა და აფთრის მონათესავე სახეობათა ძვლები. როგორც კბილების ანალიზები მიუთითებს, ავსტრალოპითეკ ანამენსისი იკვებებოდა ძირითადად მცენარეული საკვებით.

ეთიოპიის ამ არქეოლოგიურ ძეგლზე მეცნიერები უკვე 15 წელია, მუშაობენ. კვლევა ჟურნალ Nature-ში გამოქვეყნდა.

მომზადებულია eurekalert8org-ისა და ScienceAlert-ის მიხედვით

მიხეილ ჭაბუკაშვილი

ზამთრის სეზონი ახლოვდება, ტყეკაფებამდე ადვილად მიხვალთ!

ზამთრის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით, ტყეკაფებამდე მისასვლელი სატყეო-სამეურნეო გზების აღდგენითი სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. სამუშაოები ამჯერად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, სოფელ სვირში მიმდინარეობს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სატყეო გზების რეაბილიტაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს, რაც ხელს შეუწყობს ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების ჩატარებასა და ტყის მოვლა-აღდგენის სამუშაოებს. აგრეთვე, მოსახლეობას გაუადვილდება სააგენტოს მიერ გამოყოფილი ტყეკაფებიდან საშეშე მერქნის გამოტანა. სამუშაოების შედეგად გაუმჯობესდება ხანძრებთან ბრძოლის ღონისძიებების ეფექტურობაც.

კვირაში სამჯერ, ბათუმიდან არაბეთში...

საუდის არაბეთის სამეფოს დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია **Flynas**, რომელიც საქართველოს საავიაციო ბაზარზე გასულ წელს შემოვიდა, რიადი-ბათუმი-რიადის მიმართულებით ოპერირებას სექტემბრის ბოლომდე განაგრძობს.

ავიაკომპანია აღნიშნულ მიმართულებაზე რეგულარულ რეისებს 2019 წლის 2 ივნისიდან 31 აგვისტომდე ასრულებდა, ხოლო განახლებული განრიგის შესაბამისად, ფრენები რიადი-ბათუმი-რიადის საჰაერო ხაზზე 30 სექტემბრამდე გაგრძელდება. ავიარეისები დღეიდან, კვირაში სამი სიხშირით — ოთხშაბათი, პარასკევი, კვირა **Airbus A**319 და **A**320 ტიპის საჰაერო ხომალდებით შესრულდება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, „ფლაინასს“ (Flynas) საჰაერო მიმოსვლის განხორციელებისთვის აუცილებელი ნებართვა 2019 წლის 3 სექტემბერს მიენიჭა.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თეიმურაზ თორდიას და მაყვალა ჟიშქარიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთების მესაკუთრე:** თეიმურაზ თორდია (პ/ნ 19001058451), ზუგდიდი, სოფელი ჩხორია;

1.1 **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №158ა (საკადასტრო კოდი: 43.31.58.188).

1.2 **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №96 (საკადასტრო კოდი: 43.31.56.404).

1.3 **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №96 (საკადასტრო კოდი: 43.31.56.403).

1.4 **უძრავი ნივთების სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთები არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მაყვალა ჟიშქარიანი (პ/ნ 19001033530), ზუგდიდი, სოფელი ჩხორია.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №77, სართული 1 (საკადასტრო კოდი: 43.31.49.135.01.507).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

3. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 407718.62 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 62194.36 ლარს).

4. **აუქციონის დაწყების დრო:** 2019 წლის 20 სექტემბერი, 12:00 საათი;

5. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6;

6. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;

7. **მოვალე:** თეიმურაზ თორდია (პ/ნ 19001058451), ზუგდიდი, სოფელი ჩხორია;
მაყვალა ჟიშქარიანი (პ/ნ 19001033530), ზუგდიდი, სოფელი ჩხორია;
ვასილ თორდია (პ/ნ 19001077806), ზუგდიდი, სოფელი ჩხორია, ი. ჭავჭავაძის ქ. №26.

8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6;

9. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 20 სექტემბრის 12:00 საათამდე.

◎ ფორუმი

საყაზახეთო განაცხადი

გამოცხადდა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების შემადგენლობა 14-22 სექტემბერს ნურსულთანში გასამართავი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, ყაზახეთში ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებიც გათამაშდება, რომლებსაც თითოეულ ოლიმპიურ წონით კატეგორიაში (60, 67, 77, 87, 97, 130 კგ) პირველი ექვსეული მიიღებს.

55 კგ – ნუგზარ წურწუმია (ხობი),
60 კგ – დავით ჩხარტიშვილი (ოზურგეთი),
63 კგ – ლევან ქავჟარაძე (ოზურგეთი),
67 კგ – შმაგი ბოლქვაძე (აჭარა),
72 კგ – იური ლომაძე (ოზურგეთი),
77 კგ – გელა ბოლქვაძე (აჭარა),
82 კგ – ლაშა გობაძე (აჭარა),
87 კგ – გურამ ხეცურიანი (ქუთაისი),
97 კგ – გიორგი მელია (სამტრედია),
130 კგ – იაკობ ქაჯაია (წყალტუბო).

მომავალ ფორუმზე „კლასიკოსები“ ასეთი განრიგით იასპარეზებენ:

14-15 სექტემბერი – 55-63-72-82 კგ,
15-16 სექტემბერი – 67-87-97 კგ,
16-17 სექტემბერი – 60-77-130 კგ.

გეჟან დოლიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

გადაჭრილმა კაცმა შეგაშინათ?!

საქართველოს ნაკრების ყოფილმა მორაგბემ გიორგი ჩხაიძემ სოციალურ ქსელში ხმაურიანი განცხადება გაავრცელა. 37 წლის „ბორჯღალოსანი“ მსოფლიო თასისთვის საქართველოს ნაკრების შემადგენლობას გამოეხმაურა და მილტონ ჰეიგი გააკრიტიკა.

როგორც ვეტერანმა დაწერა, ზელანდიელს იაპონიაში მერაბ კვირიკაშვილი აუცილებლად უნდა წაეყვანა, რადგან ამით საქართველოს ისტორია დაიწერებოდა.

„ბიჭებს ვულოცავ და წარმატებას ვუსურვებ!

ახლა რაც შეეხება იმ მოთამაშეს, რომელსაც 4 მსოფლიო აქვს ნათამაშები და მე-5-ზე უნდა წასულიყო. ცოტა ხომ არ გააფრინეთ, თქვე ოჯახაშენებულებო! სულ მსოფლიოში 2 კაცს აქვს ნათამაშები 5 მსოფლიო თასი, ისტორიაში არიან ჩაწერილები და ის ქვეყნები ამაყობენ ამით. არც ლიმას მოუწყვეტია ვარსკვლავები, არც ბერგამასკოს გაუტანია 5 ლელო ბოლო მსოფლიოზე, მაგრამ მათ ის შრომა და თავდადება დაუფასეს მაინც . მე როგორც ვიცი, 3 კვირაზე მეტია, მეკოს ფეხი აწუხებს და წესიერი რეაბილიტაცია არ ჩაუტარეს მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებს საკმაოდ გამოცდილი სამედიცინო სტაფი ჰყავს. იმ პატარა კლოუნს, რომელსაც სულით ქართველს უძახით, იმდენი შეგნება თუ არ აქვს, რომ ეს საქართველოსთვის აუცილებელია, მაშინ ვიღაცამ უნდა უთხრას ან უნდა დაავალოს იმიტომ, რომ ეს ქვეყნისთვის არის აუცილებელი!!!

რა გჭირთ ამ ფედერაციაში, როგორ შეგაშინათ ესე ამ გადაჭრილმა კაცმა. მაგას პროფესიონალიზმი აღარ ჰქვია. ამის დაწერისთვის მეკო ძალიან გამინაწყენდება, მაგრამ არა უშავს. ეს ასე უნდა ყოფილიყო, ისედაც დიდი ხანია, ვითმენ. არ ხარ შენ კაი კაცი, მილტონ“, – დაწერა ჩხაიძემ.

შეგახსენებთ, რომ მილტონ ჰეიგმა „ბორჯღალოსანთა“ შემადგენლობა გუშინ დაასახელა და **საქართველოს ნაკრების ღირსებას იაპონიაში 31 მორაგბე დაიცავს**.

აქვე ვთქვათ, რომ თავად გიორგი ჩხაიძეს საქართველოს ნაკრების რიგებში 101 მატჩი აქვს ჩატარებული და „ბორჯღალოსნებს“ 78 ქულა მოუტანია.

კობა კობახიძე

საფეხბურთო მოზაიკა

ჟურნალისტებთან საუბარში „ბარსელონას“ ურუგვაელმა თავდამსხმელმა ლუის სუარესმა განაცხადა, რომ „პსჟ“-ის შემტევმა ნეიმარმა ყველაფერი გააკეთა კატალონიურ კლუბში დასაბრუნებლად, მაგრამ მაინც პარიზში მოუწია დარჩენა.

„ნეიმარს მაშინაც ვესაუბრებოდი, როცა „ბარსელონიდან“ მიდიოდა. ეს ყველამ ვიცოდით და ვეუბნებოდით, რომ „პარი სენ-ჟერმენშიც“ ისეთივე წარმატებული იქნებოდა, როგორიც „კამპ ნოუზე.“

ახლა მან ყველაფერი გააკეთა „ბარსელონაში“ დასაბრუნებლად. ხშირად ვსაუბრობთ და ვიცით, რომ ახლა ადვილი დროება არ უდგას.“ – ციტირებს სუარესის სიტყვებს ესპანური AS. შეგახსენებთ, რომ წლევანდელი ზაფხულის დასაწყისში ბრაზილიელმა „პსჟ“-დან წასვლის სურვილი გამოთქვა. მისით „ბარსელონა,“ მადრიდის „რეალი“ და „იუვენტუსი“ დაინტერესდნენ. ყველაზე აქტიური კატალონიური გრანდი იყო. მაგრამ, საბოლოოდ ტრანსფერზე ვერ მოილაპარაკეს და ნეიმარი „პსჟ“-ში დარჩა.

* * *

„იუვენტუსის“ პოლონელმა მეკარემ ვოიცეხ შჩესნიმ საკუთარ თავს ირონიულად მსოფლიოში საუკეთესო უწოდა, რადგან თავის დროზე „რომაში“ „ლივერპულის“ამჟამინდელ მეკარეს ალისონ ბეკერს მოუგო კონკურენცია, „იუვენტუსში“ კი – ჯიჯი ბუფონს.

„რომაში“ სათადარიგოთა სკამზე მსოფლიოს საუკეთესო მოქმედი მეკარე დავსვი, „იუვენტუსში“ კი – ფეხბურთის ისტორიაში უძლიერესი. გამოდის, რომ მე ყველაზე მაგარი ვარ ახლაც და ისტორიაშიც.

* * *

„ლივერპულის“ ცენტრალური მცველი ვირჯილ ვან დეიკი ჩემპიონთა ლიგის ყველაზე სწრაფი ფეხბურთელი გახდა.

განვლილ სეზონში „ბარსელონასთან“ ნახევარფინალურ მატჩში ჰოლანდიელმა ყველაზე მაღალი სიჩქარე – 34.5 კმ/სთ დააფიქსირა. მეორე დრო – 34.4 კმ.სთ ლეროი სანეს ჰქონდა, ხოლო მესამე ადგილზე კაილ უოლკერი გავიდა – 34.2 კმ/სთ.

ვირჯილ ვან დეიკი უეფას წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. იგი ასევე „ოქროს ბურთზეც“ არის წარდგენილი.

* * *

ტურინის „იუვენტუსის“ კაპიტანმა ჯორჯო კიელინიმ ოპერაცია გაიკეთა. როგორც „ბებერი ქალბატონის“ ვებგვერდი იტყობინება, 35 წლის ფეხბურთელს ქირურგიული ჩარევა ინსბრუკში, კლინიკა „ჰოხრუმში“ პროფესორ კრისტიან ფინკის ხელმძღვანელობით დაჭირდა.

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ახლა ვეტერანი სარეაბილიტაციო კურსის გავლას დაიწყებს. როგორც ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, ჯორჯო მოედანზე გასვლას 6 თვის განმავლობაში ვერ შეძლებს. სწორედ ამიტომ „იუვენტუსმა“ იგი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის განაცხადში არ შეიყვანა და ამ გადაწყვეტილების გადახედვის შესაძლებლობა იანვარში ექნება.

აქვე ვთქვათ, რომ ტურინელებმა ჯგუფური ეტაპის განაცხადში მარიო მანჯუკიჩი და ემრე ჯანიც არ შეიყვანეს. რაც შეეხება კიელინის, მარჯვენა მუხლის წინა ჯვარედინი იოგების დაზიანება მან „ნაპოლისთან“ მატჩისწინა ვარჯიშზე მიიღო. იტალიელმა მიმდინარე სეზონში ერთხელ თამაში მოასწრო და გოლიც გაიტანა.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი



სკოლა მეორეა

39 წლის არგენტინელმა კალათბურთელმა ლუის სკოლამ მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ჩაგდებული ქულების რაოდენობით მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

ნიგერიასთან 94:81 მოგებულ შეხვედრაში მან 23 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა. ჯამში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ვეტერანს 611 ქულა დაუგროვდა და ენდრიუ გაზეს (594) გადაასწრო. ქულების რაოდენობით პირველ ადგილზე ბრაზილიელი ოსკარ შმიდტია, რომელსაც 906 ქულა აქვს ჩაგდებული.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

არის მე-1000!

დიდი სლემის ტურნირების 23-გზის მომგებმა, ამერიკელმა სერენა უილიამსმა ამერიკის ღია პირველობის მეოთხედფინალში ჩინელი ვან ციანი 6:1, 6:0 გაანადგურა და ნახევარფინალში გავიდა. შეხვედრა მხოლოდ 44 წუთს გაგრძელდა. ეს ყველაზე მოკლედროიანი ქალთა მატჩია წლევანდელი სეზონის სლემებზე. მანამდე მადრიდში რუმინელმა სიმონა ჰალეპმა ამავე დროში სძლია სლოვაკ ვიქტორია კუჟმოვას.

სერენასთვის ეს მე-100 გამარჯვება გახლდათ US Open-ზე. მასზე მეტად ნიუ იორკში მხოლოდ კრის ევერტს უმარჯვია (101). თუ უილიამსი ტურნირს მოიგებს, ლეგენდარული თანამემამულის რეკორდს გააუმჯობესებს.

სერენა დიდი სლემის ნახევარფინალში კარიერაში 38-ჯერ გავიდა და შტეფი გრაფს გადაუსწრო. მეტჯერ ამ ეტაპზე მხოლოდ მარტინა ნავრატილოვა (44) და ევერტი (52) ყოფილან.

ტურნირზე მერვე ნომრად განთესილი სერენა ნახევარფინალში უკრაინელ ელინა სვიტოლინას შეხვდება, რომელმაც, თავის მხრივ, მეოთხედფინალში ბრიტანელ იოჰანა კონტას 6:4, 6:4 სძლია.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

კრიშტიანუ რონალდუსადმი სიყვარულში გამოტყდომა ბოლო პერიოდში ერთგვარი მოდა გახდა. ადრეც გაუწყებდით, რომ პორტუგალიელ ვარსკვლავს სხვადასხვა საშუალებებით ტრფიალებას მთელს მსოფლიოში გაბნეული ლამაზმანები უთვლიდნენ და ამ გოგონათა ნაწილი საკმაოდ წარმატებულიცაა.

ერთ-ერთი უკანასკნელი ცნობილი ასული, რომელმაც კრიშტიანუსადმი გულშევარდნა აღიარა, პოლონელი მოდელი ანა ზატონია, რომელმაც ეს საკუთარი ფეისბუქის გვერდის საშუალებით გააკეთა და იქვე დასძინა, რომ საერთოდ არ აღელვებს ის ფაქტი, რომ რონალდუს გული ამჟამად დაკავებულია. ანა ზატონი მართლაც რომ წარმატებული გოგოა და იგი ახლა ძირითადად პარიზში მოღვაწეობს. გარდა მოდელობისა, ტანსაცმლის ერთ-ერთი ფრანგული ბრენდის სახეცაა და არაფერი სჭირს საიმისო, რომ მადეირელ ოყლაყს ეხვეწოს, მაგრამ სიყვარულსა და ევროპელ ქალებს რას გაუგებს კაცი?!...

◎ ექსკლუზიური ინტერვიუ

დაუბეგრავი ბიზნესი

ნუ მკითხავთ, რა ხრიკებით დავითრიე მილიონერი პატიმრისგან ექსკლუზიური ინტერვიუ, მაგრამ რაზე ვესაუბრე გალიაში გამომწყდეულ ბიზნესმენს, ამას კი ღიად და გამჭვირვალედ მოგიყვებით:

— ბატონო ბოლოკა (ციხეში შერქმეული სახელია), ინტერვიუს ჩამოსართმევად გეახელით.

— ბატონო კი არა და... — იწყინა ბოლოკამ, — როდის იყო პატიმარს ბატონობით მიმართავდნენ, თუ ძმა ხარ, შენობით მელაპარაკე.

— კეთილი, — მოვისაწყლე თავი, — ჩემს ჟურნალისტურ პრაქტიკაში პატიმარს პირველად ვხვდები და...

— ჰო, გეტყობა კიდეც, შეშინებულს გავხარ...

— არა, უფრო განცვიფრებული ვარ, მაინტერესებს, მართალი მილიონები გაქვს?

— აა, ჩემმა მილიონებმა განგაცვიფრა? შე დალოცვილო, ჩემი მილიონები რად გაგიკვირდა, რატო ჩინოვნიკებისა და პარლამენტარების მილიონები არ განცვიფრებს?

— ეგენი ხალხისგან იმდენ გინებას იტანენ, ჩემო ბატონო (ბატონო ისევ წამომცდა!), უფრო მეტიც რომ მოიხვეჭონ, ვერ შეედავები.

— სამაგიეროდ, გარეთ მაინც არიან.

— მეც ეგ მაკვირვებს, ამდენი ფულის პატრონს ციხეში რა გაჩერებს?

— მაგას რა დიდი მიხვედრა უნდა, აქ გაცილებით უკეთესი სამუშაო პირობებია, ვიდრე გარეთ.

— რას გულისხმობ?

— იმას, რაც რეალურად არის, აქ დაუბეგრავ ბიზნესს ვაკეთებ.

— როგორ, არსებული საგადასახადო კანონი საპატიმროზე არ ვრცელდება?

— არა, აქ მოგება მთლიანად მრჩება.

— როცა გარეთ იყავი?

— მოგებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ნაცბანდის მმართველობის პერიოდში იმდენ უთოფო ყაჩაღს ვაჭმევდი, შინ წასაღებად აღარაფერი მრჩებოდა.

— ახლა ხომ მოისპო ეგ ყაჩაღობა, რაღასი გეშინია?

— ყაჩაღობა მოისპო, სამაგიეროდ, კორუფცია გაპარპაშდა. ახლა ზემოთები — ჩინოვნიკები, პარლამენტარები თუ წილში არ ჩაისვი, ბიზნესი ერთ დღეში ჩაგიფლავდება.

— აქ რა, ციხის უფროსობა წილში არ გიზის?

— არა, მაგათ თავიანთი ბიზნესი აქვთ.

— ეს მართლაც მიღწევაა, — მოვიწონე, — მაგრამ აქედან გარეთ ბიზნესს როგორ მართავ?

— თანამედროვე მენეჯმენტით. ხომ ხედავ, ტელევიზორიც მიდგას, კომპიუტერიც, მობილური ტელეფონებიც ხვინჭასავით მიყრია (რომ არ დამბლოკონ, ნომრებს დღეგამოშვებით ვიცვლი).

— მაინც რომ ჩაგავლონ?

— რას მიზამენ, ერთხელ უკვე დაჭერილი ვარ და მეორედ ხომ არ დამიჭერენ?

— რა იცი, ახლა ოპოზიცია ერთიანდება და მოსალოდნელია, ახლო მომავალში ბევრი რამ შეიცვალოს.

— არ დაიჯერო, მაგათგან არაფერი გამოვა.

— აბა, რას ამბობ, ეგ ტელევიზორი რომ გიდგას, სააკაშვილის ნაშიერი „წმინდა სისხლის ნაცებისა“ და „ევროპელი ნაცების“ გამოსვლებს არ ისმენ?

— რომ ვისმენ, მაგიტომ გეუბნები, სწორედ მაგათმა ყაჩაღურმა პოლიტიკამ მაიძულა ბიზნესის სამართავად ციხეში დავმჯდარიყავი.

— რა ვიცი, თავი უცოდველ კრავებად მოაქვთ და აქეთ ქოცებს აბრალებენ ყველაფერს — ჩვენი აშენებული ქვეყანა თქვენ დაანგრიეთო, ყოველდღე დედ-მამის სულს უტრიალებენ.



— ეგეც თავისებური ბიზნესია. პოლიტიკოსებად მოაქვთ თავი, თორემ სინამდვილეში გინებით ბიზნესის მკეთებლები არიან.

— არ გადამრიო, მთავრობის და პარლამენტის სხდომებზე, ტელევიზიით გამოსვლისას ერთმანეთის გინებაში მაგათ ფულს ვინ მისცემს?

— რომ არ აძლევდნენ, არ შეიგინებოდნენ. შენ რა გგონია, ტაკიმასხარა გაბუნიამ პუტინს მკვდარ-ცოცხალი მარტო ლამაზი თვალების გამო აგინა და ფული არ გააკეთა?! დღეს საქართველოში ყველაზე დიდი ბიზნესი გინებით კეთდება.

— მაგას არ ურჩევნიათ, საქმე აკეთონ?

— საქმის კეთება ძნელია, გინება — ადვილი. აგე, ნახე, შალიკუნა ლეიბორისტი, მაგის გაკეთებული საქმე ვის უნახავს, გინებით კი სრასახლები აიშენა.

— მართალი ხარ, ახლაც მაგრად იგინება.

— რატომ არ შეიგინება, თავის დროზე შევარდნაძისა და სააკაშვილის გინება ხახვივით შერჩა, ბოლოს ივანიშვილზე გადავიდა. ახლა მათ კომპლექსურად თათხავს — ბანდიტები, კრიმინალები და ქვეყნის დამაქცევრები არიანო.

— მე რომ სააკაშვილის და ივანიშვილის ადგილზე ვიყო, მაგ ცრუპენტელა მოლაყბეს ცილისწამებისთვის ვუჩივლებდი და ციხეში შენს გვერდითა საკანში გამოვამწყვდევდი.

— მარტო გამომწყვდევა არ უშველის, ჩემი აზრით, ამასთან ერთად, გინებაზე, როგორც ყველაზე შემოსავლიანი ბიზნესის სახეობაზე, გადასახადი უნდა დაწესდეს.

— მერე ვითომ გინებას მოუკლებენ?!

— აბა რას იზამენ, მაგათ რომ სალარო-აპარატი დაუდგან (ხომ მოგისმენია, რა ტემპით იგინებიან), ბიუჯეტი იმდენ შემოსავალს მიიღებს, სეკვესტრი საერთოდ აღარ დასჭირდება.

— მომეწონა, მშვენიერი აზრია. ინტერვიუს გამოქვეყნებისთანავე ხელისუფლებაში ამ საკითხსაც დავაყენებ!

— შევპირდი ბიზნესმენ ბოლოკას.

ოტია ჩართოლანი

არდავიწყება

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი

დიდი მონატრებითა და მეგობრული სიყვარულით იუწყებიან, რომ ა. წ. 2 სექტემბერს დაბადებიდან 84 წელი შეუსრულდებოდა ამავე საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად დამფუძნებელსა და ყოფილ თანათავმჯდომარეს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ესტრადის ყოფილ ბრწყინვალე ვარსკვლავს, დედაქალაქის ელიტური საზოგადოების უსაყვარლეს კოლორიტს, მეგობრებისა და ახლობლების მუდმივად მხარში დგომის უბადლო ოსტატს, ადამიანური სიკეთისა და კაცური სიყვარულის ტიპურ განსახიერებასა და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

თამაზ ცინცაძეს

მკვლელს - 20 წლით თავისუფლების აღკვეთა!

ოზურგეთის **რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯგუფურად, ორი პირის განზრახ მკვლელობისთვის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებისთვის ბრალდებული კ.მ. დამნაშავედ ცნო. სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2017 წლის 20 ივლისს, ქ. ოზურგეთში, კ.მ. ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით და პისტოლეტით შეიარაღებული, დაუდგენელ პირებთან ერთად შემოქმედელის ქუჩაზე მივიდა და წლების წინათ მომხდარი უთანხმოების გამო განაწყენებულმა ავტომანქანაში მსხდომ გ.ფ.-ს და დ.ო.-ს რამდენჯერმე ესროლა, შემდეგ კი თანმხლებ პირებთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული დაზიანებების შედეგად გ.ფ. და დ.ო. ადგილზე გარდაიცვალნენ.**

კ.მ.-ს დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ჯგუფურად ორი პირის განზრახ მკვლელობა) და 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა და ტარება), აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა. სამართალდამცველებმა კ.მ. 2019 წლის 8 თებერვალს სარფში დააკავეს. ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ კ.მ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ნავთობბაზაზე ხანძარი ლიკვიდირებულია

შინაგან **საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შემოსული ინფორმაციის თანახმად, სამტრედიაში ხანძარი ნავთობბაზაზე საწვავით სავსე, 1000-ტონიან, რეზერვუარს გაუჩნდა. არსებობდა ცეცხლის სხვა რეზერვუარებზე გავრცელების საფრთხე, ბაზის ტერიტორიაზე 17 რეზერვუარია, ჯამში 32 000 ტონა საწვავით, რაც დამატებით საშიშროებას წარმოქმნიდა, თუმცა მეხანძრე-მაშველების დროული რეაგირების შედეგად, სწრაფად მოხერხდა ხანძრის ლოკალიზება.**

ხანძრის ლოკალიზების შემდეგ გაგრძელდა სალიკვიდაციო სამუშაოები, ქაფის და დაგრილების მეთოდით. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ადგილზე მუშაობდა 14 სახანძრო-სამაშველო მანქანა და 70-მდე მეხანძრე-მაშველი იმერეთიდან და სამეგრელო-ზემო სვანეთიდან. გამოძიება სსკ 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

20-21 ივნისის საქმეზე ბრალდებული სპეცრაზმელის საქმის არსებითი განხილვა 17 სექტემბერს დაიწყება

20-21 ივნისს პარლამენტის წინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ბრალდებული სპეცრაზმელის საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში 17 სექტემბერს დაიწყება.

დღევანდელ წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვისთვის გადაცემაზე შუამდგომლობა ბრალდების მხარემ დააყენა, რასაც ბრალდებულის ადვოკატიც დაეთანხმა. მოსამართლემ მიიჩნია, რომ არ არსებობს საფუძველი სამართლებრივი დევნის შეწყვეტის და, შესაბამისად, საქმის განხილვა არსებითი განხილვის ეტაპზე გადავა.

პარლამენტის შენობის წინ აქციის დაშლისას იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დაკავებული განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელი აღიარებს წარდგენილ ბრალდებას. თუმცა გიორგი ესიაშვილი მის ბრალდებაზე ჟურნალისტებთან კომენტარს არ აკეთებს. ბრალდებულის ადვოკატის ზაზა არჩვაძის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი სრულად იზიარებს წარდგენილ ბრალდებას და მათ სასამართლო სხდომაზე რაიმე შუამდგომლობით მოსამართლისთვის არ მიუმართავთ. სასამართლოს დღევანდელ სხდომაზე მტკიცებულებების დასაშვებობაზე იმსჯელეს. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ჩამონათვალშია მოწმეების ჩვენებები, მათ შორის დაზარალებულების და ასევე სხვადასხვა მედიასაშუალებიდან ამოღებული ვიდეოკადრები.

„ოქროს სამკუთხედის“ მხატვარი სპილოები

მე-20 საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული, ჩრდილოეთ ტაილანდის, ლაოსისა და ბირმის (დღევანდელი მიანმის) საზღვარზე აუარება ოპიუმის პლანტაცია იყო გაშენებული. ოპიუმის ყაყაჩო მთიელთა ტომების მთავარი კულტურა და შემოსავლის ერთადერთი წყარო იყო, იმ მხარეს კი „ოქროს სამკუთხედს“ უწოდებდნენ.

1969 წელს კი ტაილანდის მეფე ფჭუმიპონ ადულიადეთმა საკუთარი სამფლობელოს ჩრდილოეთი პროვინციების მონახულება გადაწყვიტა და ოპიუმის წარმოების მასშტაბები რომ შეაფასა, „სამეფო პროექტი“ დააწესა, რომლის მიზანი ბუნებრივი რესურსების აღდგენა, მთის ხალხების ყოფის გაუმჯობესება და ოპიუმის წარმოების შეწყვეტა იყო. მეფე 2016 წელს გარდაიცვალა, მაგრამ ხალხის მადლიერ მეხსიერებაში იგი ეროვნულ გმირად, უმძიმესი სენის განმკურნებელად დარჩა.

ოპიუმის ციებ-ცხელების დროს ჩრდილოელი მთიელები ველურ სპილოებს იჭერდნენ, ათვინიერებდნენ და ყაყაჩოს პლანტაციებს ახნევინებდნენ. 1976 წელს კი, მეფის ლოცვა-კურთხევით, პროვინცია ჩიანგმაში სპილოებისთვის სარეაბილიტაციო ბანაკი „მაეზა“ მოეწყო, სადაც ამჟამად 80 ცხოველი „პროფესიულ გადამზადებას“ გადის და თავისი ნიჭის დემონსტრირებასაც ახდენს.

სანახაობა კოპწია არენაზე იმართება, რომლის ირგვლივ შეკრებილი მაყურებლების წინაშე სპილოები სახატავი მოლბერტებითა და საღებავებით სავსე ვედროებით მწკრივდებიან, მომთვინიერებლები ფუნჯებს მათ ხორთუმებში უდებენ და ყურში რაღაცას უჩურჩულებენ, რის შემდეგ სპილოები ხატვას იწყებენ!.. ნახევარ საათში გაოცებულ მნახველთა წინაშე მოლბერტებზე „ცხოველური წარმოშობის“ პეიზაჟები იშლება — წითელყვავილიანი ბუჩქები, ტოტებზე საქანელებივით ჩამოშვებული ლიანებიანი ხეები, მოცისფრო მთები და ლურჯი მდინარეები...

— სპილოებს ხატვას ნამდვილი მხატვრები ასწავლიან, რომლებიც მომთვინიერებლებთან ერთად მუშაობენ, — ამბობს „მაეზას“ დირექტორი, ბატონი **ბრანქა ფონგსითი.** პირველი ორი-სამი წელი ცხოველები თავიანთ მასწავლებლებს ეჩვევიან, შემდეგ თავად სწავლების პროცესი იწყება, რა დროსაც სპილოები ხვდებიან თუ როგორ უნდა დაიჭირონ ფუნჯი, როგორ ჩააწონ საღებავში, როგორ გაავლონ ხაზი. ყოველი წარმატების შემდეგ ცხოველს ნუგბარით — ბანანით, ან რაიმე ტკბილეულით ახალისებენ. თანდათანობით სპილოები იმახსოვრებენ მოძრაობებს. მომთვინიერებლებს კი ისღა დარჩენიათ, საღებავები დროულად მიაწოდონ.

ამოღებულია სარეკორდო რაოდენობის ჰეროინი

დიდ ბრიტანეთში 1.3 ტონა, დაახლოებით 145 მილიონი დოლარის ღირებულების ჰეროინი ამოიღეს. ეს ქვეყნის ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელია.

ნარკოტიკი გემის კონტეინერში პირსახოცებსა და აბაზანის მოწყობილობებში დამალული აღმოაჩინეს. დიდი ბრიტანეთის დანაშაულთა ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, კონტეინერი ნიდერლანდების სამეფოში გაგზავნამდე შეამოწმეს. სააგენტოს ხელმძღვანელის განცხადებით, დიდ ბრიტანეთში ჰეროინის ასეთი დიდი რაოდენობა არასდროს აღმოუჩენიათ.

ევროკავშირიდან შეუთანხმებლად გასვლის შემთხვევაში...

საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული დოკუმენტის თანახმად, ევროკავშირიდან შეთანხმების გარეშე გასვლით დიდი ბრიტანეთის ექსპორტი შვიდი პროცენტით შეიზღუდება, რაც საბოლოო ჯამში 16 მილიარდი დოლარის ზარალს გამოიწვევს.

ანგარიშში განმარტებულია, რომ აღნიშნული 16 მილიარდიდან ხუთი მილიარდი ავტომობილების ექსპორტს, ხოლო ორი მილიარდი საკვებ პროდუქტებს მოიცავს. შეზღუდვებს შორის კი, იქნება სასაზღვრო კონტროლი და ტარიფები.

ე.წ. ხისტი ბრექსიტის შემთხვევაში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან ერთად დიდ ბრიტანეთს ვაჭრობის სფეროში პრობლემები შესაძლოა, სხვა სახელმწიფოებთანაც შეექმნას. ანგარიშის თანახმად, ეს ქვეყნებია თურქეთი, კანადა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და მექსიკა. მათ ევროკავშირთან პრივილეგირებული ვაჭრობა აქვთ, თუმცა ჯერ უცნობია, როგორ გაგრძელდება ვაჭრობა ე.წ. ხისტი ბრექსიტის შემთხვევაში. ანგარიშში განმარტებულია, რომ ეს ოთხი ქვეყანა ევროკავშირთან არსებული ვაჭრობის გარდა, დიდი ბრიტანეთის ექსპორტის 20 პროცენტს წარმოადგენს.

დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული პარტიიდან 21 დეპუტატს გარიცხავენ

21 დეპუტატს შორის უინსტონ ჩერჩილის შვილიშვილი ნიკოლას სომსია. აღნიშნულმა კანონმდებლებმა ოპოზიციონერ დეპუტატებთან ერთად მხარი დაუჭირეს პარლამენტის დღის წესრიგში ბრექსიტის გადავადების შესახებ კანონპროექტის ჩასმას და ამგვარად პრემიერ-მინისტრის ბორის ჯონსონის გეგმებს ხელი შეუშალეს.

კენჭისყრამდე ბორის ჯონსონი თანაპარტიელებს პარტიიდან გარიცხვით დაემუქრა, თუ ისინი მთავრობის გეგმების წინააღმდეგ მისცემენ ხმას. 71 წლის ნიკოლას სამსი 1983 წლიდან დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრია. მანამდე ის თავდაცვის უმცროსი მინისტრის თანამდებობას იკავებდა. იმ კანონმდებლებს შორის, რომლებსაც კონსერვატიული პარტიიდან გარიცხავენ, თემთა პალატის უხუცესი დეპუტატი, 79 წლის კენ კლარკი და ფინანსთა ყოფილი მინისტრი ფილიპ ჰემონდი არიან.

შეგახსენებთ, დიდი ბრიტანეთის მმართველმა პარტიამ პარლამენტში უმრავლესობა მას შემდეგ დაკარგა, რაც კონსერვატორმა დეპუტატმა ფილიპ ლიმ სხდომის მიმდინარეობისას ლიბერალ-დემოკრატებთან გადაინაცვლა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვებან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9683; ევრო - 3.2464;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5706;
100 რუბლი - 4.4296; თურქული ლირა - 0.5145;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7460;
1000 სომხური დრამი - 6.2294.

ამინდი 5 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+28
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+31
თბილისი:	ღამე	+19,	დღე	+25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge